ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 9 ივნისი 2004 №130 (2149) | ფასი 50 თეთრი

UEFA Euro 2004 PORTUGAL

# ოთხი დღე ომამდე

## მოვიდა საფრანგეთი, დახვდა ინგლისი




ჩავიდა პორტოს შეძლებით დიდი ზინედინ ზიდანი და დახვდა სახელით დიდი დევიდ ბექჰემი.



კვირას საფრანგეთი – ინგლისია



# იტალიამ გაიჯეჯილა

## ჯილარდინომ ტრაპატონის ჩემპიონობა აიძულა

იტალია ევროპის ჩემპიონია! ვინძლო, ეს სიტყვები 5 ივლისის „სარბიელის“ პირველ გვერდზეც წაიკითხოთ, მაგრამ იქამდე ჯერ კიდევ შორია, არადა, იტალია მართლაც ევროპის ჩემპიონია, გუშინ ფინალში სერბეთს 3:0 მოუგო. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ლაპარაკია „აძურინიზე“, იტალიის ახალგაზრდულ ნაკრებზე — კლაუდიო ჯენტილეს რჩეული ბიჭებს გერმანიაში ტოლ-სწორნი არ მოეძებნათ და ჩემპიონობასთან ერთად ათენის ოლიმპიადის საგზურიც დაიბევეს. ათენურ სარბიელზე თამაშის უფლება ფინალისტმა სერბეთმა და მესამეადგილოსანმა პორტუგალიამაც მოიპოვეს.



და არ იქნება, აქ არ ვახსენოთ ალბერტო ჯილარდინო, ჯოვანი ტრაპატონის მიერ ახალგაზრდობით დაწუნებული პარმელი ფორვარდი, რომლის პორტუგალიაში არწაყვანაც „სკუადრა აძურას“ სტრატეგს წარუმატებლობის შემთხვევაში ვინძლო, მწარედაც წამოაძახონ.

ჯილარდინომ კი გერმანიაში თავი გამოიდო, ფინალში თავისი წილი გოლიც გაიტანა.



# რანიერიმ ორივე ჯიბე გაივსო

კლაუდიო რანიერისა და ესპანური „ვალენსიას“ სიტყვიერი შეთანხმება გუშინ კონტრაქტზე ხელის მოწერით დასრულდა. რომან აბრამოვიჩის დაწუნებულ იტალიელს „ჩელსიმ“ კონტრაქტის გაწყვეტისთვის საზღაური გადაუხადა და ესპანეთისკენ დაულოცა გზა.

რანიერი „ვალენსიას“ პრეზიდენტ ხაიმე ორტის ორწლიან თანამშრომლობაზე შეუთანხმდა. გავიხსენოთ, რომ იტალიელისთვის ახალი კლუბი სულაც არ არის ახალი – ივი „ვალენსიაში“ 1997-99 წლებშიც მუშაობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# პერუმ და კოლუმბიამ დიდი ფული მოითხოვეს, ჩინეთში კი ვერ წავედით



## სიახლე სანაკრებო მატჩებზე: ჰოლოგრამიანი და მაგნიტური ბილეთები

*არცთუ დიდი ხანია, რაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში საკადრო ცვლილებები განხორციელდა. ფედერაციის ერთ-ერთი ახალი კადრი ვიცე-პრეზიდენტი რევაზ არველაძე გახლავთ, ვისაც რამდენიმე შეკითხვით მივმართეთ.*

— რას შემატებს ფედერაციას ვიცე-პრეზიდენტი რევაზ არველაძე?

— ახალი იდეები მაქვს. პირველ რიგში, ძალიან მინდა, მოვახერხოთ, რომ ჩვენი ნაკრებები ტურნირებისთვის ინტენსიურად მოემზადონ. ნაკრებთა მწვრთნელებმა, ფაქტობრივად, უკვე წარმოადგინეს სამუშაო გეგმა იმაზე ადრე, ვიდრე ეს ხდებოდა. ფედერაცია მაქსიმალურად შეუწყობს ხელს ნაკრებებს და მათი პირობები მიახლოებული იქნება წარმატებული საფეხბურთო ქვეყნების სტანდარტებთან.

— პირობებში შეკრებების მოწყობას გულისხმობთ?

— დიახ, მაგრამ არა მხოლოდ. უნდა გაუმჯობესდეს სელექციური მუშაობა, განსაკუთრებით რაიონებში. ასაკობრივი ნაკრებებისთვის უნდა შემუშავდეს მწვრთნელთა რეკომენდაციების სისტემა, რათა ნაკრებთა მწვრთნელებს კლუბების მწვრთნელებისგან ფეხბურთელებზე მაქსიმალური ინფორმაცია ჰქონდეთ.

— ფედერაცია ფინანსურად თუ დაეხმარება რეგიონებს?

— გადაწყვეტილია, რომ ათ რეგიონში ფედერაცია ხელოვნურსაფრიან მინი-მოედნებს მოაწყობს. ვფიქრობ, ფეხბურთის პოპულარიზაციასა და სავარჯიშო პირობების გაუმჯობესების მხრივ ეს წინგადადგმული ნაბიჯი იქნება. ერთ წელიწადში ათივე თუ ვერა, რამდენიმე სტადიონი ნაღდად აშენდება.

— როგორ ითანამშრომლებენ ნაკრებები ერთმანეთთან, ვინ იქნება ნაკრები გუნდების საერთო სისტემის კოორდინატორი?

— თითქმის გადაბმულად იმუშავებენ ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების თავკაცები — ალენ ჟირესი და გოჩა ტყებუჩავა. დანარჩენ ნაკრებებზე კი, ასე ვთქვათ, კარტ ბლანში ტყებუჩავას ექნება — 19 და 17 წლამდელთა ნაკრებთა მწვრთნელები ტყებუჩავასთან ძალიან მჭიდროდ იქნებიან დაკავშირებულნი.

— ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგას პროფლიგა უძღვება, რეგიონულ ლიგას რეგიონული ფედერაციები, ვინ მიხედავს პირველ ლიგას?

— პირველ ლიგას მალე თავისი კოორდინატორი ეყოლება, რომელიც ანგარიშს ჩააბარებს ფეხბურთის ფედერაციას.

— პროფლიგა ჩემპიონატის ფორმატის რეფორმას რომ აპირებს, ფედერაციის პოზიცია როგორია?

— თამაშების რაოდენობის გაზრდა აუცილებელია, რათა ფეხბურთელი სეზონში ბოლომდე დაიხარჯოს, რეზევრი მაქსიმალურად გამოავლინოს, რისთვისაც 40-50 მატჩი უნდა ითამაშოს.

— ფულს მოაქვს წარმატებები და წარმატებებს მოაქვს ფული

— როგორ წარმოგიდგენიათ ეს ტენდენცია საქართველოს ეროვნული ნაკრებისთვის?

— ფედერაციის ფინანსური მდგომარეობა აუცილებლად გაუმჯობესდება. ამხანაგური მატჩებისთვის უეფას მიერ გამოყოფილი დღეები მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ და კიდევ დამატებით უნდა ვითამაშოთ ამხანაგური შეხვედრები. ვფიქრობ, ჟირესის კონტაქტები ამაში ერთობ მოგვეხმარება. ამხანაგური მატჩებით შინ და გასვლაზე თამაშითაც შესაძლებელია ფინანსური მოგების ნახვა. მაგალითად, ახლახან ჩინეთიდან მივიღეთ მოწვევა, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩინეთში ჩასვლა და თამაში ვერ მოვახერხეთ — ფეხბურთელები შვებულებაში არიან. მაისში კი გვინდოდა, რომ პერუს და კოლუმბიის ნაკრებები მოგვეწვია, მაგრამ სამხრეთამერიკელებმა ძალიან სოლიდური ჰონორარი მოითხოვეს. ერთი სიტყვით, ამ მიმართულებით ინტენსიურად ვმუშაობთ, სპონსორი კი ეროვნულ ნაკრებს ჯერჯერობით ორი ჰყავს — „ყაზბეგი“ და „ფერო“.

— უახლოეს ხანში რა სიახლეს უნდა ველოდოთ ფედერაციისგან?

— ნაკრების საშინაო მატჩებზე ელექტრომაგნიტური ბილეთები გაიყიდება და სტადიონზე სპეციალური საკონტროლო-გამშვები დანადგარები დამონტაჟდება.

**დავით თავართქილაძე**



# დღეს პროფლიგა პროფსასჯელს იტყვის

პროფესიული ფეხბურთის ლიგაში დღეს ხმაურია მოსალოდნელი.

2 საათზე ლიგის სადისციპლინო კომიტეტი შეიკრიბება და იმ უსაქციელობებზე იმსჯელებს, რაც ჩემპიონატის ბოლოსკენ მოხდა.

პირველ და ყველაზე მნიშვნელოვან საკითხად დისციპლინარებს „ვიტ ჯორჯია“ — „სიონის“ „ოქროს მატჩი“ ექნებათ. მატჩი, რომელიც სკანდალური გამოდგა და რამდენიმე ქომაგის საავადმყოფოში, რამდენიმეს პოლიციის განყოფილებაში წაბრძანებით და მსაჯების ცემით დასრულდა.

ქომაგთა ჩხუბისა და ტრიბუნაზე ატეხილი თავ-პირის მტვრევის გამო ბოლნისის „სიონს“ სასჯელი ფეხბურთის ფედერაციამ უკვე გამოუწერა — ბოლნისელები უეფას თასიდან მოკვეთეს, გუნდს 10 მატჩის შინ ჩატარება აუკრძალეს და 10 ათასით დააჯარიმეს.

ახლა კი ფეხბურთელთა დასჯის დროა.

სადისციპლინო კომიტეტი სპეციალურად „ვიტ ჯორჯია“ — „სიონის“ მატჩისთვის შექმნილი კომისიის დასკვნას განიხილავს და... დასკვნაში წერია, რომ „ვიტ ჯორჯიას“ ფეხბურთელმა რევაზ გოცირიძემ არაეთიკური ჟესტით ბოლნისელი ქომაგი გააღიზიანა და სასჯელს იმსახურებსო; ბოლნისელმა ფეხბურთელებმა ავთანდილ ლაბაძემ, აქვსენტი გილაურმა, ელდარ გვასალიამ და „სიონის“ მწვრთნელის თანაშემწემ გიორგი ყიფშიძემ მსაჯებს სცემეს და ესენიც დასასჯელები არიანო; ბოლნისელმა თავდამსხმელმა შალვა ისიანმა მატჩი თვითნებურად მიატოვა, რაც ასევე დისციპლინარულ სასჯელს ექვემდებარებაო...

მოკლედ, დღეს პროფლიგის სადისციპლინო კომიტეტისგან იმ სკანდალში გარეულთ არცთუ სასიამოვნო ამბების მოსმენა მოუწევთ... თუმც „ვიტ ჯორჯია“ — „სიონის“ „გმირების“ გარდა დისციპლინარებს კლიენტები ისეც მრავლად ჰყავთ.

**კობა ინასარიძე**

# სვანაძეს მუხლმა ისევ უმუხთლა

**თუ განვლილ სეზონში** რომელიმე ფეხბურთელს არ გაუმართლა, პირველ რიგში ლოკომოტიველ რამაზ სვანაძეს. ტრავმა ხეირიანად არ მოეშუშებინა, მეორედ რომ დაშავდა. საგაზაფხულო ეტაპზე, როდესაც ფორმა საბოლოოდ აღიდგინა, ბედმა ისევ უმუხთლა და ამჯერად ექიმთა დიაგნოზი გაცილებით ულმობელი იყო — მენისკი და ჯვარედინი იოგების გაწყვეტა. ამ ყოველივეს ხუთთვიანი მკურნალობა სჭირდებოდა, თუმც კიდევ ერთმა გამოკვლევამ დაადასტურა, რომ უოპერაციოდაც შეიძლებოდა ფონს გასვლა, მაგრამ...

— აღარ ვიცი, რა ვილონო, ამ ფეხის გადამკიდე დეპრესიაში ვარ — გვითხრა რამაზმა — გადავწყვიტე, ხუთშაბათს მოსკოვში გავემგზავრო, იქაურ კლინიკაში გავესინჯები. ოღონდაც მეშველოს და აღარც ოპერაციას მოვერიდები. მიახლოებითაც არ ვიცი, თამაშს როდის დავიწყებ. ახლა ისეთ მდგომარეობაში ვარ, „ლოკომოტივში“ დარჩენაზეც თუ ვიოცნებებ.

**დავით ერაძე**

### პოლონეთი

I ლიგა. XXVI ტური

| |
|---|
| ამიკა 2:1 ოდრა |
| გურნიკი 0:1 ლეჩნა |
| გროცლინი 3:1 სვიტი |
| ლეგია 6:0 ვიძევი |
| პოლკოვიცე 0:2 ლეხი |
| ვისლა 4:1 პოლონია |
| პლოცკი 1:1 კატოვიცე |

### ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი (U-21)

მატჩი მე-3 ადგილისთვის

| |
|---|
| შვედეთი 2:3დდ(2:2) პორტუგალია |

ფინალი

| |
|---|
| სერბეთი 0:3 იტალია |

### ირლანდია

პრემიერლიგა. XV ტური

| |
|---|
| უოტერფორდი 3:1 შემროკი |
| დერი სიტი 2:1 დუბლინი |
| სენტ პატრიკსი 1:1 ლონგფორდი |
| შელბურნი 2:2 კორკ სიტი |

### სლოვაკეთი

I ლიგა. XXXVI ტური

| |
|---|
| ბანსკა ბისტრიცა 4:0 პუხოვი |
| დუბნიცა 0:0 ჟილინა |
| პეტრჟალკა 2:3 რუჟომბეროკი |
| სლოვანი 1:3 ინტერი |
| ტრნავა 3:1 ტრენჩინი |

# ხაზარი და ბაზარი თბილისისთვის

**საახალსეზონო** სამზადისი ნაადრევად დაიწყო „თბილისმა“. მიზეზი ცნობილია — ეროვნული ჩემპიონატის სკანდალური ფინალის წყალობით „თბილისს“ უეფას თასის საგზური ერგო და საევროპოდ გამზადებული დებიუტანტიც საქმეშია, აქეთ სასურველ ფეხბურთელებს იმატებს, იქით უცხოური შეკრების ორგანიზებას ცდილობს.

ახალწვეულებს: ირაკლი სამხარაძეს, თენგიზ ჩიკვილაძეს და სერგო ორბელაძეს გუშინ კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი დაემატა. გუნდთან ერთად პირველად ივარჯიშა უკვე ექსლოკომოტიველმა გიორგი მიქაძემ, მას მიკროტრავმა კი აწუხებს, მაგრამ მსუბუქ ვარჯიშში ხელი არ ეშლება და ერთ-ორ კვირაში მწყობრშიც იქნება. „თბილისს“ გორის „დილადან“ მიაკითხა ალექსანდრე ლაბაძემ, გუშინ გუნდთან ერთად იყო მცხეთელი ფურთუხიაც, ვინაც საპლეიოფო მატჩში „რუსთავს“ ულამაზესი გოლი გაუტანა, თუმც ამ ორის საკითხი ჯერაც გასარკვევია.

ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ უეფას თასზე 4 მატჩით დისკვალიფიცირებული სოსო გრიშიკაშვილის ნაცვლად „თბილისის“ კარში აკაკი დევაძე ჩადგება. დევაძემ საახალსეზონოდ „ბათუმთან“ მიაღწია შეთანხმებას და „თბილისის“ ხელმძღვანელებს ვეტერანი მეკარის თაობაზე ზღვისპირელებთან მოუხდათ საქმის დაჭერა. რადგან ქართულ ჩემპიონატში სატრანსფერო ფანჯარა 31 აგვისტოს იხურება, „ბათუმის“ განაცხადში დევაძის შეყვანა ესწრება, ამიტომაც „თბილისს“ არ გაუჭირდება სასურველი მეკარის ოთხი მატჩით ნათხოვრობა.

გადაწყვეტილი ამბავია: 14 ივნისს „თბილისი“ „ისანზე“ პირველ საერთაშორისო ამხანაგურ მატჩს გამართავს და აზერბაიჯანული ლენქორანის „ხაზარს“ უმასპინძლებს.

გიორგი დევდარიანის გუნდი ამის შემდეგ „დინამოს“ და „ვიტ ჯორჯიასაც“ გაეჯიბრება ამხანაგურად, მერე კი, 25 ივნისს, უეფას თასის კენჭისყრას დაელოდებიან თბილისელები, მეტოქის ვინაობას შეიტყობენ და თვის ბოლოს გუნდი გერმანიაში გაემგზავრება ორი კვირით. „თბილისი“ რუიტში, ან ჰენეფში მოემზადება და თან საკონტროლო მატჩებსაც გამართავს, მეტოქეების შერჩევაზე ლუის ცაკარიასის ყოფილი თანაშემწე გოჩა თამაზაშვილი იზრუნებს.

**ბაატა ძმანტალიანი**



გურამ რუხაძის ვიტჯორჯიულ შტაბს საფიქრალი მიემატა

# ვიტ არაჩა ჯორჯიულია




*საქართველოს ჩემპიონი „ვიტ ჯორჯია“ წამყვანი მოთამაშეებისგან იცლება. როგორც ჩანს, ამ კლუბის ფეხბურთელებს აღარც ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ტურნირზე თამაშის პერსპექტივა ხიბლავთ და თავადვე ცდილობენ პირობების გაუმჯობესებას. რეზო გოცირიძემ ერთ-ერთმა პირველმა დატოვა ვეტერინარები, რიგში დგანან ლაშა ნოზაძე და გიორგი ადამია, რომლებსაც თბილისის „დინამო“ ეპატიჟება და გარკვეული მოლაპარაკებებიც უკვე შედგა. თუმცა „ვიტ ჯორჯიას“ პოზიცია ურყევი და მკაცრი გამოდგა, ფეხბურთელებმა კლუბი თვითნებურად დატოვესო, რასაც თავად ფეხბურთელები უარყოფენ.*



*ლაშა ნოზაძე:* „ვიტ ჯორჯია“ ნაღდად არ დამიტოვებია და მით უმეტეს, არ გავპარულვარ. მე ჩემი გადაწყვეტილების შესახებ კლუბის ხელმძღვანელობა საქმის კურსში ჩავაყენე. საერთოდ, ჩემს ხასიათში არაა თვითნებობა და ვინმესადმი უპატივცემულობა.

— კლუბთან კონტრაქტი ხომ პირველ აგვისტომდე გაქვს...

— კი, ამიტომაც გუნდიდან წასვლაზე ამ ეტაპზე არც მიფიქრია, კონტრაქტის ამოწურვის შემდეგ ისედაც თავისუფალი აგენტი ვხდები და საქმეს რატომ გავიფუჭებდი?!

— „ვიტ ჯორჯია“ პირველად გახდა ჩემპიონი, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვა და ამ დროს კლუბიდან წასვლა გადაწყვიტე...

— ძალიან მწყდება გული, მაგრამ ჩემთვის ასე აჯობებს. ახლა ის დრო მიდგას, როდესაც კარიერაზეც უნდა ვიფიქრო. ამ მხრივ „დინამოში“ ყველაფერი რიგზეა.

— არ გაფიქრებს ის, რომ „დინამოდან“ წამყვანი მოთამაშეები მიდიან...

— მე ის ვიცი, რომ „დინამოში“ ახალი გუნდის მშენებლობა დაიწყეს და ამაში წვლილს თუ შევიტან, კარგი იქნება. თანაც პირობებით „დინამოს“ ხომ ვერც ერთი ქართული გუნდი ვერ შეედრება.

— 22 ივნისს „დინამოს“ გერმანულ შეკრებაზეც გაჰყვები?

— ვერ გეტყვი. როგორც ვიცი, კლუბები თანხაზე ჯერ ვერ მორიგდნენ. ამიტომ არ გამოვრიცხავ, რომ გერმანიაში ვერ წავიდე.



*გიორგი ადამია:* „დინამოს“ ხელმძღვანელობას უკვე შევხვდი და მათ მიერ შემოთავაზებული პირობები ჩემთვის აბსოლუტურად მისაღებია.

— „ვიტ ჯორჯიასთან“ ხომ ჯერაც კონტრაქტი გაკავშირებს...

— პირველ აგვისტომდე „ვიტ ჯორჯიას“ საკუთრება ვარ. ერთი მხრივ, დარჩენა და ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო რაუნდში გუნდის დახმარებაც მინდა, მაგრამ „დინამოში“ თამაშიც საკმაოდ მხიბლავს.

— „ვიტ ჯორჯიას“ ხელმძღვანელობას თუ გააცანი შენი სურვილი?

— ვილაპარაკეთ და ვუთხარი, რომ „დინამოში“ თამაში მსურს.

— რა გიპასუხეს?

— მითხრეს, რომ დინამოელებთან მოლაპარაკებას დაიწყებენ.

**დავით ერაძე**

## გოცირიძე კამაზში ჯდება

ეროვნული ჩემპიონატის ვიტჯორჯიელი ბომბარდირის რევაზ გოცირიძის ტრანსფერი დღეების ამბავია. მისი რუსეთის პირველდივიზიონელ ნაბერეჟნი ჩელნის „კამაზთან“ კონტრაქტზე ხელის მოწერა თითქმის გადაწყვეტილია.



## წარამარა ბულგარელების ბოლო-ბოლო მარეკი



*გორელების საინტერტოტო მეტოქეები კალეიდოსკოპური სისწრაფით იცვლებიან. უცვლელი მხოლოდ ისაა, რომ ქართლელებს ბულგარული კლუბი შეხვდება. მაგრამ რომელი, დღემდე ხეირიანად ვერ გაურკვევიათ და ამაში დამნაშავენი ბულგარელები არიან, რომლებმაც ინტერტოტოს თასზე ჯერ „ჩერნო მორე“ გაუშვეს, მერე „ჩერნომორეცი“, ბოლოს კი არჩევანი „მარეკზე“ შეაჩერეს. ამგვარად, „დილას“ მეტოქე დუპნიცას „მარეკი“ იქნება, გუნდი, რომელშიც ცოტა ხნის წინ ჩვენებურ ამირან მუჯირსაც უთამაშია. ბუნებრივია, „მარეკის“ სახით „დილას“ გაცილებით სერიოზული მეტოქე ერგო, ვიდრე პირველ ლიგაში დაქვეითებული „ჩერნომორეცი“ იყო. გორელთა თავკაც ზურაბ ხორგუაშვილთან საუბარიც აქედან დავიწყეთ...*

— თქვენი მეტოქის ვინაობა მესამედ შეიცვალა...

— ლამისაა ბულგარული ენა და კლუბების ისტორია ვისწავლო. ასეთ წარამარა ცვლილებებს ნაღდად არ ველოდი, რამდენიმე წუთის წინ შევიტყვე, რომ ახლა „მარეკისთვის“ უნდა მოვემზადოთ.

— ადრინდელ ინტერვიუში გვითხარით, პირველ ლიგაში დაქვეითებული „ჩერნომორეცის“ ძლევა არ უნდა გაგვიჭირდესო. „მარეკი“ გაცილებით ძლიერი მეტოქეა...

— მე ისევ ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. უბრძოლველად არაფერს დავთმობთ. მზადება 3 ივნისს დავიწყეთ, ბიჭები თავდაუზოგავადვარჯიშობენ, გუნდში ნორმალური განწყობაა.

— საინტერტოტოოდ გაძლიერებასაც გეგმავდით, ალბათ უკვე შეიგულეთ ის ფეხბურთელები, ვისაც დაიმატებთ...

— „სპარტაკიდან“ ზურაბ მუშკუდიანი მოვიწვიეთ, „სიონიდან“ — როინ ონიანი და აქვსენტი გილაური. კიდევ ვფიქრობ ორი-სამი ფეხბურთელის დამატებას, თუმცა კონკრეტულად ჯერ ვერაფერს გეტყვით.

— სტადიონის საკითხიც მოაგვარეთ?

— გადავწყვიტეთ, „ლოკომოტივის“ სტადიონზე ვითამაშოთ. ეს მოედანი ჩვენი რამდენიმე ფეხბურთელისთვის ერთ ხანს შინაურიც იყო და ამიტომ მათთვის იქ თამაში გაცილებით იოლი იქნება.

— ბულგარეთში რამდენიმე დღით ადრეც ხომ არ გაემგზავრებით?

— სამწუხაროდ, ასეთი ფუფუნების უფლებას თავს ვერ ვაძლევთ. ბულგარეთში სამი დღით ადრე ჩავალთ.

**დავით ერაძე**

## ბენილუქსი მამუკა წერეთლისთვის

„დინამოდან“ წასული მამუკა წერეთელი, როგორც ჩანს, მალე გაარკვევს, სად ითამაშებს. რუსული და კვიპროსული ვარიანტები თავად ფეხბურთელმა დაიწუნა, ვინაიდან ამ ქვეყნებში უკვე უბურთავია და იცის, რა როგორ იქნება. წერეთელი უფრო შუაევროპულ ქვეყნებს უმიზნებს: „20 ივნისისთვის ყველაფერი გაირკვევა. ჩემი აგენტები ტრანსფერზე მუშაობენ და ამ დღეებში პასუხსაც მივიღებ. ჯერჯერობით კლუბები არ ვიცი, თუმცა ის კი ნაღდია, რომ ბელგიისა და ჰოლანდიის უმაღლესლიგელები არიან“ — გვითხრა წერეთელმა.

**დავით ერაძე**

# გაასწორეთ! მოედანი და ნიჭი

## შოტლანდიაში ნანახი ნემსაძეს საქართველოში დახვდა



*შოტლანდიური „დანდის" ფინანსურმა პრობლემებმა გიორგი ნემსაძე უგუნდოდ დატოვა. „დანდიდან" ჩვენიანის წამოსვლის ამბავი რომ გავრცელდა, მისი გადაბირების მსურველი კლუბებიც გააქტიურდნენ. ნემსაძეს ისევ შოტლანდიაში ეპატიჟებოდნენ, იწვევდნენ რუსეთშიც, თუმც საბოლოოდ ისე მოხდა, რომ გიორგი თბილისის „დინამოს" დარჩა. საქართველოს ჩემპიონატის მეორე ეტაპზე საქართველოს ნაკრების კაპიტანს უკვე მშობლიური კლუბის მაისურა ემოსა და შინაურ ჩემპიონატში აგორებდა ბურთს.*

*რით ეშველება საქართველოს ჩემპიონატს? რამ გააკვირვა და რა ესიამოვნა ბარე ათი წლის წინ გალეგიონერებულ და ახლა დაბრუნებულ გიორგი ნემსაძეს ჩვენს ჩემპიონატში? ბევრად ჩამორჩება თუ არა საქართველო, მაგალითად, შოტლანდიას? რა პერსპექტივა აქვს უეფას თასის გზაზე დამდგარ თბილისის „დინამოს"?*

*ამ და სხვა კითხვებზე გიორგი გვპასუხობს...*

### საქართველოს ჩემპიონატი

— საქართველოს ჩემპიონატისგან ის მივიღე, რასაც ველოდი. შოტლანდიაში ყოფნისას აქაური ჩემპიონატის მატჩებს ხშირად ვუცქერდი და გარკვეული წარმოდგენაც მქონდა. ასე რომ, ვიცოდი, სადაც მოვდიოდი და გაწბილებული არ დავრჩენილვარ.

### გაკვირვება

— მოედნების უვარგისობამ გამაკვირვა. როცა აქ ვთამაშობდი, მაშინ ასე არ იყო, რამდენიმე სტადიონზე მოედნის კარგი საფარი იყო და, შესაბამისად, თამაშიც უფრო ხარისხიანი გამოდიოდა. ჩემი წასვლის შემდეგ კი, ბოლო წლებია, ეტყობა, მოედნის მომვლელი აქ კაცი არ იყო. არადა, ფეხბურთს ყანაში ვერ ითამაშებ, ფეხბურთელი ფეხბურთს კარგ მოედანზე თუ ისწავლის. აღმასვლის საწინდარი ხარისხიანი მოედნებია.

### სასიამოვნო

— ნიჭიერი ფეხბურთელები საქართველოში ყოველთვის იყვნენ, ჩემ დროსაც ასე იყო, მაგრამ მე ხომ ეროვნული ჩემპიონატიდან დიდი ხნის წასული ვარ და ძალიან მესიამოვნა, რომ საქართველოში ისევ ისეთი ნიჭიერი ფეხბურთელები ვნახე. მათ შეუძლიათ დიდი ფეხბურთის თამაში, ძალიან პერსპექტიული თაობა მოდის და თუ სწორად გაზრდიან, მაღალი დონის ფეხბურთელები გვეყოლება. მაგალითად, „დინამო 2"-ში ახლა რამდენიმე ისეთი ბიჭია, ჩემი ნება რომ იყოს, ეროვნულ ნაკრებშიც მივიწვევდი და ამხანაგური მატჩებისას დიდ ფეხბურთს გავაჩვევდი. რაც ადრე შეიძენ გამოცდილებას, მით უკეთესი.

### საქართველო და შოტლანდია

— შოტლანდიის ჩემპიონატი გაცილებით მაღალი დონისაა. „სელტიკი" და „რეინჯერსი" სათვალავში რომც არ მივიღოთ, შოტლანდიის ჩემპიონატი საქართველოსას ბევრად სჯობს. მოკლედ რომ ვთქვა, შოტლანდიის ჩემპიონატის ექვსეულის ნებისმიერი გუნდი საქართველოს ჩემპიონატს იოლად მოიგებს. „სელტიკზე" და „რეინჯერსზე" ლაპარაკიც კი ზედმეტია. შოტლანდიაში ფიზიკურად, ტაქტიკურად, თუნდაც ტექნიკურად ფეხბურთელები უკეთ მომზადებულნი არიან. შესაძლოა, საქართველოში ნიჭიერი უფრო მეტი იყოს, მაგრამ ისინი ველარ ვითარდებიან, არ იციან, რა როგორ აკეთონ. ნიჭი არის, განათლება — არა. შოტლანდიაში ფეხბურთელებს ფეხბურთს ასწავლიან, თანაც ხალიჩასავით მოედნებზე, ჩვენში კი...

### ჩემპიონატის დონეზე

— მიუხედავად ბევრი პრობლემებისა, საქართველო მთლად წყალწაღებული არ არის. ევროპაში ქვეყნებია, ისეთი ჩემპიონატები აქვთ, საქართველოსთან მათი შედარებაც კი უხერხული იქნება. აქ თუ მოედნები გამოსწორდა, საქართველოს ჩემპიონატი საშუალო ევროპულ დონეს მიაღწევს. კარგი მოედნები სწრაფი პროგრესის უმთავრესი წინაპირობაა.

### ეკონომიკა

— მოედნები და ფული სჭირდება საქართველოს ჩემპიონატს. როცა მეტი ფული იქნება, გუნდები უცხოელ მწვრთნელებს მოიწვევენ, უცხოელი მწვრთნელი კი ფეხბურთელებს სწორ ფეხბურთს ასწავლის. ფეხბურთელებიც პანტა-პუნტით არ წავლენ, პირიქით, აქეთ ჩამოვლენ სხვა ქვეყნებიდან. ქართველ მწვრთნელებს საშუალება ექნებათ უცხოეთში ისწავლონ, დიდ კლუბებში სტაჟირებაზე წავიდნენ. სხვანაირად არაფერი გამოვა. ევროპული ფეხბურთი ყოველდღიურად ვითარდება და ჩვენ ევროპას ფეხი უნდა ავუწყოთ. თუ ქართულ ფეხბურთში ეკონომიკური ვითარება გამოსწორდება, დარწმუნებული ვარ, ძალიან მალე ჩვენი ფეხბურთი საშუალო ევროპულს გაუტოლდება, ეგებ უკეთესიც იყოს. წლეულს რამდენიმე შეძლებული გუნდი გამოჩნდა და ყველა დამეთანხმება, ჩემპიონატიც შედარებით უკეთესი გამოვიდა. ასე თუ ისე, დონეც ამაღლდა და დაძაბულობაც იყო, ბოლო ტურამდე ხომ გაურკვეველი იყო ჩემპიონის ვინაობა. პროფლიგის იდეას მივესალმები, აუცილებელია, თითოეულმა კლუბმა ჩემპიონატის დაწყებამდე შესაბამისი ფინანსური გარანტიები წარმოადგინოს. მერე უკვე ყველა დარწმუნებული იქნება, რომ გუნდი ჩემპიონატს შუა გზაზე არ მიატოვებს.

### დინამოს პერსპექტივაზე

— უეფას თასზე „დინამოს" წარმატებით თამაში მეტწილად კენჭისყრაზეა დამოკიდებული. გააჩნია, რომელი ქვეყნის რომელი გუნდი შეგვხვდება. ისე კი, მგონია და ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ თბილისის „დინამო" მინიმუმ ორ ეტაპს გაივლის, მერე კი... ვნახოთ, კენჭისყრის მერე ვილაპარაკოთ.

**კობა ინასარიძე**





ტალახი და ბალახი

---

*თითქმის განახევრებული გუნდი, უფულობა და სრული გაურკვევლობა — ასეთ ვითარებაში შეხვდა „ლოკომოტივი" მე-15 ეროვნულის მეორე ეტაპს და, როგორც ჩანს, მომავალ ჩემპიონატსაც ასე შეხვდება. ყოველ შემთხვევაში, დღეს მართლაც სრული ქაოსია რკინიგზულ კლუბში, გუნდის თავკაცი ზაურ სვანაძე კი ჩვეულებისამებრ მოთმინებით ელის ხელმძღვანელთა გადაწყვეტილებას, თუმც რეალობას შეგუებულია — სვანაძეს კვლავაც ახალ გუნდს შეუკოწიწებენ*

# შეკოწიწებული გაკოწიწებულა



**სეზონის** დასრულების შემდეგ ლოკომოტიველთა უმრავლესობას კონტრაქტი დაუმთავრდა და ამით უკვე ოთხმა ფეხბურთელმა ისარგებლა. დავით დათვაძე და ზაზა ზირაქიშვილი აზერბაიჯანულ „ხაზარუნივერსიტეტში" გადაბარგდნენ. ლაშა სალუქვაძე „დინამოშია", სერგო ორბელაძე და გიორგი მიქაძე კი „თბილისს" შეუერთდნენ.

— ალბათ სხვებიც წავლენ. ჯერჯერობით მათი დარჩენის ვარიანტი არ ჩანს — გვითხრა *ზაურ სვანაძემ*, გუშინ რომ შევეხმიანეთ. საკითხავიც ისაა, ვის ათამაშებს „ლოკომოტივი" ახალ სეზონში და რა მიზნები ექნება გუნდს.

— რეზერვში გვყავს რამდენიმე ახალგაზრდა, თანაც ვიცი, რომ კლუბის ხელმძღვანელებს სასურველ ფეხბურთელთა ნუსხა აქვთ შედგენილი, ამ ხალხის მოწვევა კი ფინანსებზეა დამოკიდებული.

— ვისი მიწვევა სურს „ლოკომოტივს"?

— მე არაფერი ვიცი ამის შესახებ.

— კლუბის ხელმძღვანელებთან არ გისაუბრიათ?

— ჯერჯერობით არა, ალბათ შევხვდები რამდენიმე დღეში.

— საახალსეზონოდ როდის იკრიბებით?

— 11 ივნისს.

— ალბათ იქამდე დაელაპარაკებით გუნდის გეგმებზე ხელმძღვანელობას...

— არ ვიცი, ალბათ...

— ინტერტოტოზე უარი გუნდის დაშლის გამო თქვით...

— მე არ მითქვამს უარი ინტერტოტოზე თამაშზე. გადაწყვეტილება კლუბის მესვეურებმა მიიღეს, თუმც ვფიქრობ, ასეთ ვითარებაში თამაში მართლაც გაუმართლებელი იქნებოდა.

**პაატა ქვანტალიანი**

# ხიზანეიშვილმა დარასელიაზე არაფერი იცის

*მოსკოვის „დინამო" გერმანულ შეკრებაზეა. გუნდთან ერთადაა ქართველი მცველი ოთარ ხიზანეიშვილიც. მოსკოველები ჰანოვერის მახლობლად, პატარა ქალაქ ბარსინგჰაუზენში დაბინავდნენ, ოთხ ამხანაგურ მატჩს გამართავენ და რამდენიმე ახალ ფეხბურთელსაც გასინჯავენ...*



— გერმანიაში 19 ივნისამდე დავრჩებით — გვითხრა გუშინ ოთარ ხიზანეიშვილმა — გუებიკის აზრით, გუნდს შეთამაშება აკლია და ძირითადად ამაზე ვიმუშავებთ.

— როგორ ფიქრობ, ახალი სეზონიდან ძირითადში უფრო ხშირად ითამაშებ?

— ბოლოს ვგრძნობდი, რომ ჩემი იმედი ჰქონდათ. ახლაც ნორმალურ ფორმაში ვარ და გერმანიაში ჩემი შესაძლებლობების დამტკიცებას კიდევ ერთხელ შევეცდები.

— თქვენს კლუბში ახალი ფეხბურთელების მიყვანას გეგმავენ, მათ შორის ვიტალი დარასელიაც სახელდებოდა...

— ახალ ფეხბურთელებს რომ ეძებენ, ეს ვიცი. ვიტალისგან გავიგე, რომ ის მოსკოვის „დინამოს" აინტერესებს, თუმცა, მართალი გითხრა, კლუბში არავინ აცხადებს, გერმანიაში ვის გასინჯავენ.

— რამდენად რეალურად მიგაჩნია, რომ ჩავარდნილ სეზონს გამოასწორებთ?

— რა ვიცი, შემადგენლობას რომ ვუყურებ, მგონია, უკეთესად თამაში შეგვიძლია. ამ შესვენებამ სულზე მოგვისწრო. თანაც ძირითადი გუნდის ბირთვიდან მხოლოდ დმიტრი ბულიკინი დაგვაკლდა, რომელიც რუსეთის ნაკრებთან ერთად პორტუგალიაშია.

**დავით ერაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# EURONEWS

## A ჯგუფი

# პორტუგალიას სკოლარიანი ავტობუსი გაუხარდა



პედრო პაულეტა

### პორტუგალია

„ჩვენი პირველი სამიზნე მეოთხედფინალია“ — განაცხადა პედრუ პაულეტამ, რომელიც მისადმი მიძღვნილი წიგნის პრეზენტაციაზე სიტყვით გამოვიდა. წიგნს „პაულეტა — აზორის ციკლონი“ ჰქვია და მისი ავტორი ჟურნალ „აბოლას“ მიმომხილველი ჟოზე მანუელ ფრეიტაშია.

ფორვარდის თქმით, გუნდი ამჟამად პირველი მატჩისთვის სრული დატვირთვით ემზადება: „ბერძნებთან მოგება მეოთხედფინალისკენ დიდი ნაბიჯის გადადგმას ნიშნავს, თუმც, რომ ვერ მოვიგოთ, დარჩენილ ორ შეხვედრაში ვითარების გამოსწორების შანსი გვრჩება. რაც უფრო ახლოვდება 12 ივნისი, მით მეტად ვღელავთ“.

პორტუგალიელებს ორდღიანი შვებულება დაუმთავრდათ. მწვრთნელ-ფეხბურთელებმა ოჯახები მოინახულეს და ბაზაზე, ალკოშეტეში დაბრუნდნენ. ლისაბონის „სპორტინგის“ აკადემიის შესასვლელთან მწვრთნელ-ფეხბურთელებს ბლომად გულშემატკივრები დახვდნენ და ავტოგრაფები გამოსტყუეს.

მხოლოდ ლუიშ ფიგუ ვერ მოიხელთეს. იგი მადრიდში ცოლ-შვილთან იყო, დააგვიანდა და ალკოშეტეში საღამოს ჩავიდა.

ქომაგებს ფრიად ესიამოვნათ, როცა ავტობუსიდან ჩამოსული ლუიშ ფელიპე სკოლარი ნახეს. ბრაზილიელი აქამდე საკუთარი ავტოთი დადიოდა, ახლა კი გუნდს შეუერთდა.

გუშინ გუნდის ბაზას ქვეყნის პრემიერ-მინისტრი დურაუ ბაროზა ეწვია.

### საბერძნეთი

დემის ნიკოლაიდისმა ექიმის რჩევით, ერთი კვირა დაისვენა და ორშაბათს ინდივიდუალურად ივარჯიშა.

სამი ტრავმამოშუშებული — ნიკოს დაბიზასი, იურკას სეიტარიდისი და გეორგიოს კარაგუნისი — გუნდს გუშინ შეუერთდა.

„მომზადების პროგრამა დაასრულეს და მათ ალარაფერი აწუხებთ“ — განაცხადა ნაკრების ექიმმა.

„ბოლტონის“ ნახევარმცველ სტელიოს იანაკოპულოსს გული უგრძნობს — საბერძნეთი მასპინძლებს გახსნის მატჩში აუცილებლად გაამწარებს. „პირველ თამაშში ნებისმიერი გუნდი ნერვიულობს, თუმც ჩვენ ბევრად ნაკლები სანერვიულო გვაქვს, ვიდრე პორტუგალიელებს. მათ ხომ აუცილებლად მოგება სჭირდებათ. ამიტომ გაცილებით ლაღად და თავისუფლად ვითამაშებთ, რადგან არაფერს ვკარგავთ“ — თქვა ბოლტონელმა, ხოლო კაპიტანმა თეოდოროს ზაგორაკისმა დაამატა: „ვგრძნობთ, რომ შეგვიძლია გულშემატკივრების იმედისა და მოლოდინის გამართლება. ყველაფერს გავაკეთებთ კარგი შედეგის მისაღწევად“.

### ესპანეთი

ნაკრებში ხუთი ვალენსიელია, რომლებმაც პრიმერადივიზიონი მოიგეს. ამიტომ ვისენტეს სჯერა, რომ ჩემპიონური სული ხუთეულს პორტუგალიაშიც წაადგება. „ჩვენ ამ სეზონში დიდი გამარჯვება ვიგემეთ და ახლა ევროპის ჩემპიონატზე გვსურს კიდევ ერთი წარმატების გამოჭედვა. მართალია, ნაკრებში მოთამაშე მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელებს წლეულს არაფერი მოუგიათ, მაგრამ ეს ხომ გამარჯვების წყურვილს უფრო გაუძლიერებს. ყველა მოთამაშემ, რომელიც ქვეყნის დროშის ქვეშ აქ შეიკრიბა, იცის, რომ ესპანეთის ღირსება უნდა დაიცვას“.



### რუსეთი

გეორგი იარცევმა ოდნავ ამოისუნთქა, რადგან სამი ტრავმირებული გამოუკეთდა და გუნდს შეუერთდა. დმიტრი სენიკოვი, რომან შარონოვი და მარატ იზმაილოვი ჯანზე არიან და ვარჯიშობენ.

ახლა რუსებს სრული, 23-კაციანი ჯანმრთელი შემადგენლობა ჰყავთ და ვლამოურაში ესპანეთთან მატჩისთვის მომზადება დაიწყეს.

სენიკოვისა და შარონოვის მორჩენა მწვრთნელისთვის დიდი შვებაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ნაკრებს პორტუგალიაში ორი გამოცდილი მცველი — ვიქტორ ონოპკო და სერგეი იგნაშევიჩი არ ეყოლება.

„ლოკომოტივის“ განაპირა მცველი სენიკოვი რომან შარონოვთან, ალექსანდრ ბუგაევთან და ალექსეი სმერტინთან ერთად დაცვის ხაზს „გაავლებენ“.

„ჩელსიდან“ „პორტსმუთში“ განათხოვრებულმა სმერტინმა კაპიტნის სამკლავური ვიქტორ ონოპკოსგან ჩაიბარა. იგი დაცვაში ონოპკოს ადგილს დაიკავებს. „ვფიქრობ, მწვრთნელი ლიბეროდ გამამწესებს. ყოველ შემთხვევაში, ვარჯიშებზე ასე იყო და შემდეგ როგორ იქნება, ზუსტად არ ვიცი. ეს ალბათ, მეტოქეზეცაა დამოკიდებული“.

## B ჯგუფი

# იძინეთ, ბიჭებო
## ნევილი ერიკსონს სიყვარულში გამოუტყდა

### ინგლისი

გარი ნევილი სვენ გორან ერიკსონის ქებად დაიღვარა, ყმაწვილ თანაგუნდელებს კი ძილისკენ მოუწოდა.

„ის ზედგამოჭრილია ინგლისისთვის — თქვა მცველმა მწვრთნელზე — ძალიან მშვიდია და ასე მგონია, რომ ვერავინ გამოიყვანს წონასწორობიდან. მოიგებს, არ დახტის, წააგებს და არ ტირის. ვერასოდეს ნახავთ აფორიაქებულს. ერიკსონი დიდად მოხერხებული კაციცაა, რადგან ინგლისის ნაკრების მწვრთნელობა ქვეყნის პრემიერმინისტრობის შემდეგ ქვეყანაში ყველაზე საპასუხისმგებლოა. ერიკსონს უყვარს თავისი საქმე და ეს კარგად ჩანს, როცა მოთამაშეებს გვესაუბრება. თავისი ხასიათით იმდენად გვავალდებულებს, რომ შეუძლებელია, ამ კაცისთვის მოედანზე ბოლომდე არ დაიხარჯო“.

ახალგაზრდებისთვის კი ნევილმა მოკლე რჩევა არ დაიზარა: „ასეთი დონის შეჯიბრზე ალმა-დალმა ხეტიალი არავის არგებს. ყველამ დროზე უნდა დაიძინოს, რათა ძალების სრულად აღდგენა შეძლოს. მახსოვს, 1996 წლის ევროპის ჩემპიონატზე მეოთხედფინალი დისკვალიფიკაციის გამო გამოვტოვე, ნახევარფინალში კი ძლივს დავლასლასებდი. დასვენება ყმაწვილკაცებისთვის აუცილებელია, თუ ზედიზედ რამდენიმე მატჩში მაღალ დონეზე თამაში სურთ“.

გუშინ ინგლისის ნაკრების ვარჯიშიდან მარცხენა მუხლის ტკივილით შეწუხებული ჯონ ტერი ექიმს მიჰგვარეს.

### საფრანგეთი

მუხლმტკივანი ფრანგებსაც ჰყავთ. მარსელ დესაი ორი კვირის წინ დაშავდა და ორი ამხანაგური მატჩი გამოტოვა. მის ნაცვლად დაცვის ცენტრში ლილიან ტურამს მიკაელ სილვესტრი შეუწყვილდა.

„ჯერჯერობით ფეხი კვლავ მაწუხებს, მაგრამ დღითი-დღე თავს უკეთ ვგრძნობ. მწვრთნელი მენდო და მეც ვცდილობ, არ დავალალატო. რადგან 23-კაციან შემადგენლობაში შემიყვანა, ესე იგი, ვჭირდები“ — განაცხადა დესაიმ, რომელიც ევრო 2004-ის შემდეგ სანაკრებო კარიერის დასრულებას აპირებს.

დავიდ ტრეზეგემ უკრაინასთან მატჩი გამოტოვა, მაგრამ, სანტინის თქმით, „იუვეს“ ფორვარდი დღეს ვარჯიშს შეძლებს, რადგან ტრავმა უმნიშვნელო გამოდგა.

### ხორვატია

ხორვატები გუშინ ლოცვა-კურთხევით გააცილეს პორტუგალიაში. ზედიზედ სამი ამხანაგური მატჩის მომგები გუნდის ნახევარმცველი ივიცა მორნარი უხასიათობას არ უჩივის: „გასაგებია, რომ დიდი შეჯიბრის წინ გულშემატკივრები წარმატებას ელიან, მაგრამ არ მსურს წინასწარ პროგნოზების კეთება და ნერვიულობა. დანიაში ვაჩვენეთ ჩვენი რეალური ძალა. შვეიცარიასთანაც ასე მშვიდად და თავდაჯერებულად ვაპირებთ თამაშს“.

ოტო ბარიჩი: „კმაყოფილი ვარ გუნდის გარჯით და მზად ვართ ბრძოლისთვის. უკვე შემიძლია 16 ფეხბურთელი დავასახელო, რომლებსაც პირველ მატჩში განაცხადში შევიყვან. ვფიქრობ, ყველა საუკეთესო აქ ჩამოვიყვანე. მხოლოდ ის მაღელვებს, რომ დანიასთან შუახაზი ისე ვერ გამოიყურებოდა, როგორც მსურდა“.

**ვაჟა ხუციშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# EURONEWS

## C ჯგუფი



ჯოვანი ტრაპატონი

# ტრაპატონის ქირითადის ინსტიქტი

## გრონკიაერმა ფეხბურთი ორი დღით გადადო

### დანია

იესპერ გრონკიაერი გუნდს პორტუგალიაში ვერ გაჰყვა. მისი ოჯახის ერთ-ერთი წევრის ავადობამ ფეხბურთელს გეზი შეაცვლევინა, შინ გაემგზავრა. „ცხოვრებაში ზოგჯერ ფეხბურთის დავიწყება გვიწევს. მე ვესაუბრე იესპერს და კარგად მესმის, რომ იგი ახლა ოჯახთან ერთად უნდა იყოს" — თქვა მორტენ ოლსენმა და დასძინა: „გრონკიაერი დაბრუნდება, როცა პრობლემებს მოაგვარებს, ჯერჯერობით კი 22 კაცით განვაგრძობთ ვარჯიშს".

### ბულგარეთი

პორტუგალიაში გამგზავრებამდე პლამენ მარკოვმა პრესკონფერენციაზე განაცხადა: „ძალიან მოკლე სათადარიგო სკამი გვაქვს და სერიოზულ წარმატებაზე ფიქრი ძნელია. საკმარისია, ძირითადი შემადგენლობის რომელიმე ფეხბურთელი დაშავდეს, რომ მას სრულფასოვნად ვერ შევცვლი. ამიტომ ჯგუფიდან გასვლასაც ნუ მომთხოვთ. უკვე აუტსაიდერად მოგვნათლეს და ეგებ, ეს ჩვენთვის სასარგებლოცაა.

ტრავმამოშუშებული ნახევარმცველი ველიზარ დიმიტროვი მომჯობინდა და უკვე ვარჯიშობს. გუნდის ექიმმა მიხაილ ილიევმა მაცნობა, რომ ველიზარი ტურნირის დაწყებამდე საბოლოოდ გამოკეთდება" — თქვა მარკოვმა და სკამმოკლე მწვრთნელისთვის ეს ამბავი ფრიად სასიხარულო უნდა იყოს.

„დანარჩენი ფეხბურთელები ჯანზე არიან. ვიმედოვნებ, რომ კარგად იციან, რა ელით პორტუგალიაში" — დასძინა მარკოვმა.

### იტალია

გამოცდილი ჯოვანი ტრაპატონის თვალმა და გონებამ წინასწარ განჭვრიტა მეტოქე დანიის შესაძლებლობები და იტალიელთა თავკაცმა „ვიკინგებთან" სათამაშოდ 11 ფეხბურთელი გუშინ, მატჩამდე ერთი კვირით ადრე დაასახელა. ახლა თავსატეხი მორტენ ოლსენს ექნება, რაკი მოწინააღმდეგის შემადგენლობა უკვე იცის, თუმც დონ ტრაპისას რას გაიგებ, გამორიცხული არაა, კიდეც შეცვალოს რომელიმე ფეხბურთელი. 4-2-3-1 — აი, სქემა, რომლით თამაშსაც აპირებს იტალიელი. თერთმეტეულში ანდრეა პირლოს ადგილი არ გამოინახა. „მიუხედავად იმისა, რომ პირლო კარგ ფორმაშია, ძირითადში ვერ მოხვდა" — თქვა მწვრთნელმა.

სადანიო იტალია კი ასეთია:

*ბუფონი — პანუჩი, ნესტა, კანავარო, ძამბროტა — პეროტა, ძანეტი — კამორანეზი, ტოტი, დელ პიერო — ვიერი*



ტრაპატონის გამოცხადებულ თერთმეტეულში ანდრეა პირლოს ადგილი ვერ მოიძებნა, კრისტიან ვიერი კი იტალიელთა მთავარი ფორვარდი იქნება

## D ჯგუფი



# კლარენს ზეედორფი მყესებზე ჰკიდია

### ჰოლანდია

ამხანაგურ მატჩში დაშავებულმა კლარენს ზეედორფმა შესაძლოა გერმანიასთან შეხვედრა გამოტოვოს. ირლანდიასთან ამხანაგურ მატჩში შეცვლაზე შესულ ნახევარმცველს მუხლის მყესები დაუზიანდა და მკურნალობა გაეწელა. პირველი ცნობით, თითქოს საშიში არაფერი იყო, მაგრამ გულდასმით გამოკვლევის შემდეგ აღმოჩნდა, რომ კლარენსმა შესაძლოა, 15 ივნისამდე გამოკეთება ვერ მოასწროს.

დიკ ადვოკაატი ზეედორფის შემცვლელის გამოძახებას არ აპირებს, რადგან იმედოვნებს, რომ ექიმები ფეხბურთელს დროზე მოარჩენენ. მილანელი გუშინ პორტუგალიაში ნაკრებთან ერთად გაემგზავრა.



მილან ბაროში

### ჩეხეთი

მილან ბაროში და ვრასტისლავ ლოკვენცი მომჯობინდნენ და ვარჯიში დაიწყეს. ბაროში ესტონეთთან ამხანაგური მატჩის პირველივე ტაიმში დაშავდა და შეცვალეს, ხოლო „ბოხუმის" ფორვარდ ლოკვენცს ესტონეთთან არ უთამაშია.

კარელ ბრუკნერი პირველივე შეხვედრაში ლატვიასთან, შეტევაში სავარაუდოდ, ამ წყვილს გაამწესებს. ესტონეთთან მწვრთნელმა დავიდ როზენალს და მარტინ ჟირანეკს მისცა შანსი, მაგრამ მათ თავი ვერაფრით გამოიჩინეს, ამიტომ ბრუკნერი ძირითად შემადგენლობაში კვლავ რენე ბოლფს ანდობს ადგილს, რომელმაც ყველა საკვალიფიკაციო მატჩში ითამაშა და სხვებზე უკეთეს ფორმაშია.

**ვაჟა ხუციშვილი**

*ევროჩემპიონატში მონაწილე ნაკრებთა მწვრთნელებმა უკვე რა ხანია, დაასახელეს შემადგენლობები, მაგრამ რამდენია ისეთი ვარსკვლავი, რომელიც თავის კლასს და უნარს ამჯერად ვერ უჩვენებს ფეხბურთის გურმანთ.*

*გუშინ ევრო 2004-ის საორგანიზაციო კომიტეტმა თერთმეტი ფეხბურთელისგან შემდგარი ნაკრები თავისი გემოვნებით შეადგინა, ანუ ამ სახელდახელო გუნდში ის ფეხბურთელები შეიყვანა, რომლებიც სხვადასხვა მიზეზთა გამო პორტუგალიაში ვერ ითამაშებენ.*

*ერთი სიტყვით, საორგანიზაციო კომიტეტის რჩეულთა ნაკრები 3-5-2 სქემით ასეთია: რუშთუ — მეცელდერი, ფერდინანდი, ონოპკო — მენდიეტა, როი კინი, დაისლერი, გიგზი — შევჩენკო, ინძაგი, სისე.*

# იტალია და ვინც გინდათ

## ფაბიო კანავაროს სკუადრა აძურა შეაბეს

*იტალიის ნაკრების ყველაზე გამოცდილი ფეხბურთელი დღეისთვის ფაბიო კანავაროა, ვინაც სწორედ გამოცდილების გამო მოირგო „სკუადრა აძურას“ კაპიტნის სამკლავური პაოლო მალდინის სანაკრებო ფეხბურთიდან წასვლის მერე. მოახლოვებული ევროპის ჩემპიონატის წინ იტალიის ნაკრების კაპიტანს „ფუტბოლ იტალიამ“ ინტერვიუ ჩამოართვა, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ*



— იტალიას ჩემპიონობის ერთ-ერთ ფავორიტად თვლიან. თქვენ თუ ეთანხმებით ამ მოსაზრებას?

— იტალია დიდი საფეხბურთო ერია და როცა მას ფავორიტად მიიჩნევენ, ეს აბსოლუტურად ნორმალურია. თუმცა დავამატებ, რომ ჩემპიონობის ყველაზე რეალური შანსი, ჩემი აზრით, საფრანგეთს და ჩეხეთს აქვთ.

— იმასაც ამბობენ, კანავარო ევროპის ჩემპიონატს მეტი პასუხისმგებლობით ეკიდება, ვიდრე სერია A-სო...

— უსამართლო და არასწორი განცხადებაა, თუმცა ვხვდები ასე რატომაც ამბობენ. ამ სეზონით უკმაყოფილო ვარ. სამჯერ დავშავდი და საერთო ჯამში სამი თვე გამიცდა. მოედანზე დაბრუნებულს კი ფორმის აღსადგენად დრო დამჭირდა. ერთი სიტყვით, რაც შემეძლო, სრულად ვერ ვაჩვენე. ახლა კარგ ფორმაში ვარ და ვცდილობ, ევროპის ჩემპიონატზე კარგი თამაშით გავაბათილო ჩემპიონატში ტრავმების გამო ჩავარდნა. შესაძლოა, ვინმეს ამის გამო ეჩვენება, რომ იტალიის ჩემპიონატზე მეტად ევროპის ჩემპიონატს მეტ ყურადღებას ვუთმობ.

— ხომ არ იცით, პაოლო მალდინის ნაკრებში დაბრუნება გამორიცხულია?

— პაოლომ ჯერ კიდევ წინა მსოფლიოს ჩემპიონატის დროს გვითხრა, რომ ნაკრებში აღარ ითამაშებდა. ასეთი გადაწყვეტილება უფრო ოჯახის გამო მიიღო, ვიდრე იმის გამო, რომ თამაში აღარ შეეძლო. ამაზე ცალკეც გვისაუბრია. მას შვილებთან მეტი დროის გატარება უნდა, რასაც წლების მანძილზე ვერ ახერხებდა. ისიც ვიცი, რომ გადაწყვეტილების მიღება ძალიან გაუჭირდა. ვფიქრობ, ტრაპატონი სწორად მოიქცა, პაოლოს დაბრუნებაზე დაყოლიებას რომ ეცადა, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა.

— რომ დაბრუნებულიყო, კაპიტნის სამკლავურს უპრობლემოდ დაუბრუნებდით?

— რა თქმა უნდა. პაოლო იდეალური კაპიტანი იყო, გუნდის ინტერესები კი ყველაფერზე მაღლა დგას, რის გამოც წამითაც არ დავფიქრდებოდი. ამასთანავე, მისი დაბრუნება ძველებურად სამი მცველით თამაშის საშუალებას მოგვცემდა.

— და რობერტო ბაჯოზე რას იტყვით?

— ბაჯო ბოლო ათწლეულის იტალიური ფეხბურთის სიმბოლოა.

— დელ პიერო?

— დელ პიეროს, ისევე როგორც ფრანჩესკო ტოტის, კრისტიან ვიერის, ანტონიო კასანოს და რობერტო ბაჯოს, ბურთთან ერთი შეხებით შეუძლიათ თამაშის შეცვლა.

— როგორ ფიქრობთ, ტრაპატონი ნაკრებში ფეხბურთელებს რა კრიტერიუმებით არჩევს, იმ მომენტში ვინ როგორ ფორმაშია, თუ მისი ფავორიტები ვინც არიან?

— პირველ რიგში ვთქვათ, რომ მწვრთნელი არჩევანში თავისუფალია. ცხადია, მას ჰყავს ნაკრების მთავარი ბირთვი, მაგრამ ყოველთვის ამბობს, რომ ნაკრების კარი ყველასთვის ღიაა. საერთოდ, ვერ ვიხსენებ, გუნდი არასწორად დაეკომპლექტებინოს.

— რომელი შეჯიბრი უფრო საინტერესოა, ევროპის თუ მსოფლიოს ჩემპიონატი?

— სიურპრიზები მსოფლიოს ჩემპიონატზე უფრო ხდება, თუნდაც იმიტომ, რომ იქ მეტი გუნდი თამაშობს. ევროპის ჩემპიონატზე უფრო თანაბარი ძალის გუნდებია და ყველანი ერთმანეთს ვიცნობთ.

— გულშემატკივართა ნაწილი თვლის, რომ ზოგი ფეხბურთელი ნაკრებში მხოლოდ მოვალეობის გამო თამაშობს...

— პირადად ჩემთვის ნაკრებში თამაში უდიდესი პატივია. რაც შეეხება უგულოდ თამაშს, მგონია, რომ პრობლემა გადატვირთულ კალენდარშია. ყველა ფეხბურთელი უბრალოდ ვერ უძლებს ასეთ დატვირთვას. თუმცა ტრაპატონი ყოველთვის ცდილობს, კლუბებს ადრევე შეუთანხმოს ნაკრების წვრთა გრაფიკი, რათა ფეხბურთელებმა ცოტა შვება ვიგრძნოთ.

— სიმონე პეროტამ დაამტკიცა, რომ იტალიის ნაკრებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ფეხბურთელია. მიუხედავად ამისა, ის პატარა „კიევოში“ თამაშობს, მაშინ როცა ვთქვათ, კლებერსონი, არაფრით გამორჩეული ფეხბურთელი, „მანჩესტერ იუნაიტედშია“, როგორ ფიქრობთ, რატომ ხდება ასე?

— არ ვთვლი, რომ საუკეთესო ფეხბურთელები მაინცდამაინც საუკეთესო კლუბებში უნდა თამაშობდნენ. ამასთანავე, არც იმაში დაგეთანხმებით, რომ „კიევო“ ცუდი კლუბია.

— რამ შეიძლება შეუშალოს ხელი იტალიას ევროპის ჩემპიონობაში?

— ტრავმებმა.

— თვლით თუ არა, რომ კრისტიან ვიერი ნაკრებში უფრო სასარგებლოა, ვიდრე კლუბში და ამის მიზეზი „ინტერის“ თამაშის სტილია?

— მე ასე არ ვფიქრობ. ვიერის „ინტერში“ ასზე მეტი გოლი აქვს გატანილი. ამას უსარგებლობად თვლით?

— ევროპის ჩემპიონატის ფინალში ვინ გავლენ?

— იტალია და ვინც გინდათ. ჩემთვის აბსოლუტურად არა აქვს მნიშვნელობა, მეტოქე ვინ გვეყოლება.

— რომელი თავდამსხმელის წინააღმდეგ არ გინდათ თამაში?

— ასეთი არავინაა. სიპირისპიროდ გიპასუხებთ, რუუდ ვან ნისტელროის წინააღმდეგ სიამოვნებით ვითამაშებ. ის დიდი ფორვარდია და მის წინააღმდეგ არასდროს მითამაშია.

— თქვენთვის კლუბში მოპოვებული ჯილდო უფრო სასიამოვნოა თუ ნაკრებში?

— ასე გეტყვით: მოგება უფრო სასიამოვნოა, ვიდრე წაგება.

— ევროპის ჩემპიონატზე რომელი ნაკრების მოხვედრა იყო ყველაზე მოულოდნელი?

— საბერძნეთის.



*მსოფლიოს ან ევროპის ჩემპიონატი ისე არ ჩაივლის, ახალმა სახელმა არ გაიბრწყინოს. მიმომხილველთა აზრით, პორტუგალიაში რაფაელ ვან დერ ვაარტი უნდა „აფეთქდეს“.*

*ფეხბურთელს, ისევე როგორც მის ძმა ფერნანდოს, ესპანური სახელი ჰქვია, რაკი ესპანელი დედა ჰყავთ. დედის მშობლები — რაფაელი და დოლორესი — ამჟამად კადისთან ახლოს, ჩიკლანა დე ლა ფრონტერაში ცხოვრობენ.*

# ესპანელი დედის შვილი

„აიაქსის“ ნახევარმცველი 1983 წლის 11 თებერვალს პატარა ქალაქ ჰემსკერკში დაიბადა და ბურთის დევნა გუნდ „დე კენემერსში“ დაიწყო. მისი ჯილა, არ გაგიკვირდეთ, ჩოგბურთელი პიტ სამპრასია, ხოლო საოცნებო სტადიონი „კამპ ნოუ“.

თითქმის ორი წელია, „მანჩესტერი“, „არსენალი“, „იუვენტუსი“ და „ლივერპული“ ამსტერდამელებს ვან დერ ვაარტზე ევაჭრებიან, თავად ნახევრადესპანელს კი „ბარსელონაში“ თამაში სურს, თუმც იმასაც ამბობს, „რეალიდანაც“ რომ დამირეკონ, ყურმილს არ დავახეთქებო. „ახლა მთავარი ევროპის ჩემპიონატზე წარმატებული გამოსვლაა. გერმანიასთან შეხვედრას მოუთმენლად ველი. ამ გუნდთან თამაში ჰოლანდიისთვის განსაკუთრებულია, მას „აიაქსისა“ და „ფეიენოორდის“ მატჩებს შევადარებდი თავისი განუმეორებელი განწყობით და დაძაბულობით“ — თქვა აიაქსელმა.

რაფაელ ვან დერ ვაარტის სატრანსფერო საქმეებს ორი კაცი აგვარებს, მამა რამონი და დანიის ნაკრების ყოფილი მოთამაშე სერენ ლერბიუ.

2000 წლის 8 მაისს მან რუსეთის 17-წლამდელთა ნაკრებს ევროპის ჩემპიონატზე გოლი გაუტანა, ხოლო იმავე წლის ზაფხულში მსოფლიოს ჩემპიონატზე მეოთხედფინალში გოლიც შეაგდო, წითელი ბარათიც მიიღო და მისი ჰოლანდია ეგვიპტელ თანატოლებთან დამარცხდა.

ბევრი ვერ გაიხსენებს 2001 წლის ოქტომბერში გამართულ ჰოლანდია — ანდორას. „ნარინჯისფერებმა“ 4:0 მოიგეს, ეს თამაში ვან დერ ვაარტისთვის სადებიუტო გამოდგა. 18 წლის რაფაელს 18-ნომრიანი მაისურა ეცვა და იმ წელს პირველი აიაქსელი იყო, ეროვნულ გუნდში რომ მოხვდა.

მას შემდეგ ამსტერდამელთა კაპიტანს 18 სანაკრებო მატჩი და ოთხი გოლი მოუგროვდა, ძირითად შემადგენლობაში კი შარშან სექტემბერში მწვრთნელმა პირველად გაამწესა.

ფეხბურთის თამაში 4 წლისამ დაიწყო. „მაშინ მამა მავარჯიშებდა — გაიხსენა აიაქსელმა — ჩვენ ლუდის ცარიელ ბოთლებს ვუმიზნებდით ბურთს“.

10 წლისა კი მამამ „აიაქსის“ სკოლაში მიიყვანა.

ამსტერდამულ კლუბში მისი დებიუტი 2000 წლის გაზაფხულზე შედგა. მომდევნო სეზონში კო ადრიანსემ მარცხენა ნახევარმცველად გაამწესა და 27 მატჩში შვიდი გოლი გაიტანა, 2000-ში 20 მატჩში 14 შეაგდო, „აიაქსმა“ კი დუბლი შეასრულა. მეტიც შეეძლო გაეტანა, მაგრამ თებერვალში მუხლი იტკინა და მენისკის ოპერაცია გაიკეთა. სამწუხაროდ, ქირურგი შეცდა, ხოლო ფეხბურთელს ხელმეორე ოპერაცია დასჭირდა, რის გამოც სეზონის ნაწილი გაუცდა.

მიუხედავად ამისა, 2002-03 წლების სეზონში 21 მატჩში 18-ჯერ იხეირა და კლუბმა კონტრაქტი 2006 წლამდე გაუგრძელა.

გასულ სეზონში კუმანმა ვიცე-კაპიტნად დანიშნა, იარი ლიტმანენის წასვლის შემდეგ კი სამკლავური რაფაელ ვან დერ ვაარტს დარჩა.

„აიაქსის“ კაპიტანს პირმშვენიერი მეუღლე ჰყავს — ტელე და კინო ვარსკვლავი სილვი მეისი. ფეხბურთელს შემოკლებით VDV-ს ეძახიან, მისი სრული სახელი კი რაფაელ ფერდინანდ ვან დერ ვაარტია.

**ვაჟა ხუციშვილი**



ევრო 2004-ზე რაფაელ ვან დერ ვაარტის აფეთქებას ელიან

ბიბლიოთეკა

## ევრო-2004. D ჯგუფი: ჰოლანდია, ჩეხეთი გერმანია, ლატვია

# რაც არის, ეგ არის!

### იქ სადაც ვარსკვლავი მოსწავლეა, მოსწავლე ვარსკვლავი ვერ იქნება





1976 წელს ევროპის თასი ჩეხოსლოვაკიამ მოიპოვა, ევრომწვერვალის დაპყრობას ახლა ჩეხეთის ნაკრები ეშურება

**ჩეხეთის** გარეთ უკიდურესად იშვიათია ქომაგი, რომელიც იტყოდა, რომ ამ ქვეყნის ნაკრები უყვარს, მაგრამ ასევე იშვიათია ის ადამიანი, რომელიც მის სიძლიერეში ეჭვს შეიტანდა. ერთი სიტყვით, ფრთხილად, წინ ჩეხეთია!

საერთოდ კი, ჩეხთა ქება მე-20 საუკუნის ბოლოს და 21-ის დასაწყისში კარგ ტონად და ფეხბურთის ცოდნად ითვლება. ამას სათავე ევრო 96-ე დაედო და ცხადია, საფუძვლიანადაც. მას მერე გამოცხადებული მკვლელობის ქრონიკასავითაა: ყველა ამბობს, რომ სიურპრიზებს ჩეხებისგან უნდა ველოდოთ. ასე ამბობდნენ ოთხი წლის წინ, ევრო 2000-ზეც, სადაც ყოფილი სოცბანკის ქვეყნის ნაკრები შეჯიბრებას ადრევე გამოეთიშა.

დღეს, ევრო 2004-ზე, ჩეხები D ჯგუფში მოხვდნენ, იქ, სადაც ოთხი გუნდიდან სამი ყოფილა ჩემპიონი, ხოლო ერთიც დებიუტანტი ლატვიაა. სამი ჩემპიონი გერმანია, ჰოლანდია და თავად ჩეხეთი გახლავთ და ამ ჯგუფიდან მეოთხედფინალამდე უფრო შორია, ვიდრე ნებისმიერი სხვა ჯგუფიდანო, ამბობენ სიტყვამარჯვენი.

საერთოდ, ჩეხებს ერთი საინტერესო თვისება აქვთ, თუკი ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ხვდებიან, სულ მცირე, მესამე ადგილზე გადიან, ცხადია, იმ ერთი შემთხვევის გარდა, რომელზეც ზემოთ მოგახსენეთ. და კიდევ ერთი დაზუსტება: ადრე ჩეხები სლოვაკებთან ერთად იყვნენ, მათ ქვეყანას ჩეხოსლოვაკია ერქვა. აი, ახლა კი ჩამოვთვალოთ: 1996 წელს მეორე ადგილი, 1976 წელს ჩემპიონობა, ხოლო 1960 და 1980 წლებში მესამე ადგილი. როგორც ხედავთ, პრობლემა ჩემპიონატზე მოხვედრაა, თორემ იქ...

და, მოდით, ოთხი წლის წინანდელი გამონაკლისი გავიხსენოთ: ჯერ ერთი, ჯგუფში მასპინძელ ჰოლანდიასთან და მომავალ ჩემპიონ საფრანგეთთან მოხვდნენ და მეორეც, ჰოლანდიასთან შეხვედრაში მსაჯმა, პიერლუიჯი კოლინამ მათ კარში მეტად საეჭვო პენალტი დანიშნა, რითაც დაამტკიცა, რომ ამქვეყნად ყველა შეიძლება შეცდეს ანუ კოლინაც კი ადამიანია. არადა, შესარჩევ ეტაპზე ჩეხებს ათიდან ათი თამაში ჰქონდათ მოგებული — ისტორიული შედეგია, მსგავსი არასდროს არავის ჰქონია.

„ამჯერად სხვანაირად ვიქნებით მზად. მე თუ მკითხავთ, ეს ისეთი ჩემპიონატი გამოვა, როგორზეც ჩეხები ბოლოხანს ვოცნებობდით. ადრე რაღაც-რაღაცეები არ გამოდიოდა, მაგრამ ახლა ამას აღარ დავუშვებთ" — ამბობს გუნდის ლიდერი. და ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი, 2003 წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი პაველ ნედვედი.

სტატისტიკა მოწმობს, რომ რაც ჩეხთა ნაკრებს დღეს 64 წლის კარელ ბრუკნერი უდგას სათავეში, გუნდმა 22 მატჩი ითამაშა და მხოლოდ ორჯერ წააგო. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, 2001 წლიდან ჩეხებს ჩინებული შედეგი აქვთ, რაშიც თვით საფრანგეთთან და თურქეთთან გამარჯვებებიც იგულისხმება.

ახლა იმაზე ვთქვათ, როგორ გაიარეს ჩეხებმა ბოლო შესარჩევი ტურნირი. შედეგი ასეთია: რვა თამაშიდან შვიდი გამარჯვება და ერთი ფრე. ამ შეხვედრათა შორის ყველაზე იმედისმომცემი გახლდათ ჰოლანდიელთა ძლევა — 3:1. ეს ერთგვარი შურისძიებაც გახლდათ იმ მარცხისთვის, რომელიც ჩეხებს ჰოლანდიელებმა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევში მიაყენეს, თუმცა ზემოთაც ვთქვით, რომ შესარჩევი ტურნირის შთამბეჭდავად გავლა ჯერ კიდევ არ ნიშნავს შეჯიბრების ფინალურ ეტაპზე კარგად თამაშს. ამას ამ შემთხვევაში განსაკუთრების იმიტომ ვუსვამთ ხაზს, რომ ფინალური ეტაპის კენჭისყრაზე ფორმულა 1-ის პილოტმა, გერმანელმა მიხაელ შუმახერმა ალათასა-ბალათასა ხელი ჩაჰკრა კალათასა და მეტოქედ ჩეხებს თავისი სამშობლო ამოუღო, როგორც გითხარით, იქვე მისკუპდა განუყრელი ჰოლანდიაც. რა გინდა თქვა ასეთ შემთხვევაში? მწვრთნელი, ბრუკნერი ასე ამბობს:

„ვერაფერს ვიზამთ. ისე, ხანდახან კარგია თავიდანვე დაძაბულ ბრძოლაში მოხვედრა, ხანდახან არ არის კარგი. არჩევანი არ გვაქვს, რაც არის, ეგ არის".

და ვინ არის დღეს ჩეხთა შორის ყველაზე გამოცდილი სანაკრებო მებრძოლი? თუ ეროვნულ გუნდში ჩატარებულ შეხვედრათა რაოდენობით ვიმსჯელებთ, კარელ პობორსკი, რომელმაც თანამემამულე ზდენეკ ნეჰოდას უწინდელი, 92-მატჩიანი რეკორდი უკვე მოხსნა.

ბრუკნერმა ბევრის გასაკვირად ნაკრებში არ წაიყვანა ტომაშ რეპკა და პატრიკ ბერგერი, რომლებსაც ყოფაქცევა დაუწუნა. გუნდში, სადაც თვით ნედვედი მოსწავლესავით მორჩილად იქცევა, სხვები არ უნდა იწელებოდნენო — ეთანხმება მწვრთნელს ქომაგთა მეორე ნაწილი.

სამაგიეროდ, იმედისმომცემია ლივერპულელი მილან ბაროშის გამოძახება. ამ 22 წლის თავდამსხმელს ნაკრებში ჩატარებულ 23 შეხვედრაში 13 გოლი აქვს გატანილი.

და ბოლოს, ბრუკნერის ხელში ჩეხები მეტოქეს თავის ნახევარზე აღარ ელიან, მის ნახევარზე გადადიან სწრაფად და იქვე ცდილობენ ყველაფრის მომთავრებას.

## განრიგი

**15 ივნისი**
ავეირუ. „მუნისიპალი". 21.00
ჩეხეთი – ლატვია

**19 ივნისი**
ავეირუ. „მუნისიპალი". 23.45
ჰოლანდია – ჩეხეთი

**23 ივნისი**
ლისაბონი. „ჟოზე ალვალადე". 23.45
გერმანია – ჩეხეთი

## მეკარეები

1 პეტრ ჩეხი ---------------- რენი, საფრანგეთი
16 იარომირ ბლაჟეკი ----- სპარტა, პრაღა
23 ანტონინ კინსკი -------- სატურნი, რუსეთი

## მცველები

2 ზდენეკ გრიგერა ------ აიაქსი, ჰოლანდია
3 პაველ მარეში ---------- ზენიტი, რუსეთი
5 რენე ვოლფი ----------- ბანიკი, ოსტრავა
6 მარეკ იანკულოვსკი -- უდინეზე, იტალია
13 მარტინ ჟირანეკი ------------------ რეჯინა, იტალია
17 ტომაშ ჰუბშმანი ------------------- სპარტა, პრაღა
21 ტომაშ უიფალუში ------------------ ჰამბურგი, გერმანია
22 დავიდ როზენალი ------------------ ბრიუგე, ბელგია

## ნახევარმცველები

4 ტომაშ გალაშეკი ------ აიაქსი, ჰოლანდია
7 ვლადიმირ შმიცერი -- ლივერპული, ინგლისი
8 კარელ პობორსკი ----- სპარტა, პრაღა
10 ტომაშ როსიცკი ----- დორტმუნდი, გერმანია
11 პაველ ნედვედი --------------------- იუვენტუსი, იტალია
14 სტეპან ვახოუშეკი ------------------ მარსელი, საფრანგეთი
19 რომან ტისი ------------------------- მიუნხენ 1860, გერმანია
20 იაროსლავ პლასილი ---------------- მონაკო, საფრანგეთი

## თავდამსხმელები

9 იან კოლერი ----------- დორტმუნდი, გერმანია
12 ვრატისლავ ლოკვენცი ლაუტერნი, გერმანია
15 მილან ბაროში ------- ლივერპული, ინგლისი
18 მარეკ ჰაინცი -------- ბანიკი, ოსტრავა

მწვრთნელი: კარელ ბრუკნერი

## გზა პორტუგალიამდე

### III შესარჩევი ჯგუფი

12.10.2002 ---------- მოლდოვა 0:2 ჩეხეთი
16.10.2002 ---------- ჩეხეთი 2:0 ბელარუსი
29.03.2003 ---------- ჰოლანდია 1:1 ჩეხეთი
02.04.2003 ---------- ჩეხეთი 4:0 ავსტრია
11.06.2003 ---------- ჩეხეთი 5:0 მოლდოვა
06.09.2003 ---------- ბელარუსი 1:3 ჩეხეთი
10.09.2003 ---------- ჩეხეთი 3:1 ჰოლანდია
11.10.2003 ---------- ავსტრია 2:3 ჩეხეთი

### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 8 | 7 | 1 | 0 | 23:5 | 22 |
| ჰოლანდია | 8 | 6 | 1 | 1 | 20:6 | 19 |
| ავსტრია | 8 | 3 | 0 | 5 | 12:14 | 9 |
| მოლდოვა | 8 | 2 | 0 | 6 | 5:19 | 6 |
| ბელარუსი | 8 | 1 | 0 | 7 | 4:20 | 3 |

# ევრო-2004. D ჯგუფი: ჰოლანდია, ჩეხეთი გერმანია, ლატვია

## მწვრთნელი



### რა და რატომ სძულს ბრუკნერს

დამარცხება ნებისმიერ მწვრთნელს სძულს, მაგრამ კარელ ბრუკნერს სხვებზე მეტად. კიდევ კარგი, 2001 წლიდან, ანუ იმ დღიდან მოყოლებული, რაც ბრუკნერი ჩეხეთის ნაკრების მწვრთნელად დანიშნეს, მისმა გუნდმა 23 შეხვედრიდან მხოლოდ ორჯერ წააგო. დღეს ამბობენ, რომ ბრუკნერმა დასუსტებული, დაშლილი ჩეხეთი ჩაიბარა და ევრო 2004-ის ერთ-ერთ ფავორიტად აქცია.

„წაგება მძულს. მნიშვნელობა არა აქვს, ვისთან და სად ვაგებ, თუმცა ამის გამო ევრო 2004-ის პროგნოზს ნამდვილად ვერ შემოგთავაზებთ. ერთი ნამდვილად ვიცი, ჯგუფიდან ვერგასვლას საშინელ შედეგად მივიჩნევ. დანარჩენი კი ვნახოთ" — ამბობს 64 წლის სპეციალისტი, რომლის ხელმძღვანელობით ჩეხებს მარტის ბოლომდე ზედიზედ 20 თამაში მოგებული ჰქონდათ. 31 მარტს ჩეხებმა დუბლინში ირლანდიასთან 1:2 წააგეს, ხოლო ერთი თვის შემდეგ, შინ, რატომღაც იაპონიასთანაც დამარცხდნენ.

„ლივერპულის" ჩეხი ნახევარმცველი, ვლადიმირ შმიცერი მწვრთნელზე ასე ამბობს: „ბრუკნერის ჯადოსნურმა მეთოდმა მართლაც დიდი შედეგი გამოიღო. მან ერთმანეთთან შეუთამაშებელი ძლიერი ბიჭები ჩაიბარა და მათგან გუნდი შეკრა".

რით გამოირჩევა ბრუკნერის მეთოდი სხვათა მეთოდისგან? უპირველეს ყოვლისა, საქმისადმი მიდგომით. ბრუკნერისთვის ვარსკვლავი და მეორეხარისხოვანი ფეხბურთელი ერთია. მან სამწვრთნელო კარიერა პირველი დივიზიონის „სიგმადან" დაიწყო, საიდანაც 21-წლამდელთა ნაკრებში აიყვანეს და ასე ნელ-ნელა დაამტკიცა, რომ შეუცვლელია.

კარელ ბრუკნერს ძალიან თეთრი თმა და ყვირილისგან ჩახლეჩილი ხმა აქვს.

„საგანგებო ადამიანია. სიბრძნით და გამჭრიახობით არის დაჯილდოებული" — ამბობს ნაკრებში მისი თანაშემწე მიროსლავ ბარანეკი, რომელიც ექვსი წელიწადი შეფის გვერდითაა და ყველაფერი იცის.

## ჯერ იქორწინა, მერე ითამაშებს

**კვირას,** პრაღიდან 50 კილომეტრში მდებარე ქალაქ დობრისში ქორწილის სუფრა იყო გაშლილი. 31 წლის ნეფე, იან კოლერი გულისსწორს, ჰედვიკი კანკოვას ბედს უკავშირებდა. სტუმართა შორის გახლდათ სიძის დორტმუნდელი თანამშრომელი და თანამემამულე ტომაშ როსიცკი.

ხუთი წლის წინ კი, როდესაც ჩეხეთის ნაკრების თავდასხმაში ვიღაც აყლაყუდა გამოჩნდა, გულშემატკივრებმა გაოცებით გადახედეს ერთმანეთს. მერე გაირკვა, რომ აყლაყუდა 2 მეტრი და 2 სანტიმეტრი სიმაღლისა იყო და გოლების გატანა შეძლებია. მოკლედ, ხუმრობა, რომ ახალგაზრდა კალათბურის მოედნისკენ მიდიოდა და ფეხბურთისაზე აღმოჩნდა, უკბილო აღმოჩნდა, დღეს იან კოლერს 49 სანაკრებო შეხვედრაში 27 გოლი აქვს გატანილი.

„მე თავს ვერ მივცემ იმის უფლებას, რომ შესწავლა დავიწყო, ფორმაშია ეს თავდამსხმელი თუ არა. ფორმაშია თუ არა, იანი მოედანზე იქნება" — განაცხადა ამასწინათ ნაკრების მწვრთნელმა კარელ ბრუკნერმა.

ჩეხეთის დიდ ჩემპიონატში კოლერმა პირველად 21 წლისამ ითამაშა. ის პრაღის „სპარტას" შემადგენლობაში მას მერე გამოჩნდა, რაც მეოთხე დივიზიონი მოიბურთავა, მაგრამ... გამოჩნდა და შთაბეჭდილება ვერ მოახდინა, თუმცა ვინ იცის, სწორედ ამან გაუკეთა კარიერა. ერთი სიტყვით, „სპარტამ" იანი ბელგიურ „ლოკერენს" მიჰყიდა, სადაც კოლერმა აიწყვიტა და თავით თუ ფეხით გოლი გოლზე შეაგდო.

იანი უამრავს მუშაობდა, განსაკუთრებით ტექნიკის დასახვეწად, მისი ნიჭი და შრომისმოყვარეობა კი შეუმჩნეველი არ დარჩა — „ანდერლეხტის" შემადგენლობაში კოლერი ორჯერ გახდა ბელგიის ჩემპიონი.



იან კოლერმა ჯვარი დაიწერა

2001 წელს ის გერმანიაში, კერძოდ, „დორტმუნდში" გადაბარგდა და იქ თანამემამულე როსიცკისთან ააწყო პარტნიორობა. „დორტმუნდმა" გერმანიის ჩემპიონობაც მოიპოვა და უეფას თასიც... კინაღამ მოიგო. ფინალში გერმანელებს ჰოლანდიურმა „ფეიენოორდმა" მოუგო, თუმცა კოლერმა ერთი გოლი მაინც გაიტანა.

ნაკრებში? ნაკრებში იან კოლერს შავი დღეებიც ახსოვს. მაგალითად, ის ერთ შესარჩევ შეხვედრაში ადრე რომ შეცვალეს და განრისხებულმა მაისურა ისროლა, რითაც ქომაგები გააბრაზა. ანდა წითელი ბარათი რომ მიიღო ისლანდიასთან და ამის გამო ჩეხეთმა წააგო...

არადა, იცით, რომ სიყმაწვილეში მეკარეობდა? ის კი არა, როდესაც ბუნდესლიგის შეხვედრაში მიუნხენის „ბაიერნთან", „დორტმუნდის" მეკარე იენს ლემანი გააძევეს, ძელებს შორის ის ჩადგა, გოლი არ გაუშვა და ტურის საუკეთესო მეკარის ტიტულიც მოიგო.

## ერთი ყველას სანაცვლოდ



პაველ ნედვედი

ორი წლის წინ, როდესაც ჩეხეთი მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ მოხვდა და ყურში სტადიონის გამაყრუებული სტვენა ჩაესმა, პაველ ნედვედმა სანაკრებო კარიერისთვის თავის დანებება გადაწყვიტა. მაშინ ქომაგები ყველაფერში დამნაშავედ სწორედ ნედვედს მიიჩნევდნენ და ამბობდნენ, გუნდზე უარყოფითი გავლენა რომ არ ჰქონოდა, დიდ წარმატებებს მივაღწევდითო. იმავეს წერდნენ გაზეთებიც. ერთი სიტყვით, საერთო ჩეხური აზრი ასეთი იყო: მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატს მათი ნაკრები ნედვედის გამო გამოაკლდა.

მაგრამ აი, მოვიდა 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი და საერთოჩეხური აზრით, მათი გუნდის ყველაზე თავდადებული ფეხბურთელი, რომელიც ჯანსაღ სულს განსაზღვრავს და გამარჯვებისკენ მიიწევს, პაველ ნედვედია.

„ძნელ ჯგუფში მოვხვდით, მაგრამ ვფიქრობ, რომ მაინც დიდი შანსი გვაქვს" — ამბობს „იუვენტუსის ერთ-ერთი ლიდერთაგანი, რომლისგანაც სანაკრებო დონეზე გაბრწყინებასაც ელიან.

მოგეხსენებათ, ნედვედი 2003 წლის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. იმავე წელიწადს მას და „რომას" კაპიტან ფრანჩესკო ტოტის იტალიის წლის საუკეთესო ფეხბურთელობაც უბოძეს.

გავიხსენოთ ნედვედის გზა: თავიდან პრაღის „სპარტაში" თამაშობდა, იქ იგი სამჯერ გახდა ჩეხეთის ჩემპიონი და შემდეგ, 1996-ში, „ლაციოში" გადაბარგდა, სადაც ქომაგთა მთავარი ფავორიტი გახდა. „ლაციომ" ნედვედის დახმარებით იტალიის და თასების მფლობელთა თასი მოიგო, რასაც 2000 წელს სკუდეტოც დააყოლა.

„ლაციოში" გაბრწყინების შემდეგ კი ჩეხს 41 მილიონ ევროიანმა ტრანსფერმა უწია. ის „იუვენტუსმა" იყიდა — ნედვედს „ბებერი ქალბატონიდან" ახალწასული ზინედინ ზიდანის შეცვლა დაეკისრა.

გავიდა ნედვედი „დელე ალპის" მინდორზე და ტრიბუნაზე გამოფენილ დიდ პლაკატს მოჰკრა თვალი. „მეტი თმა — ნაკლები ნიჭი", მაგრამ გავიდა ხანიც და ტურინელებმა „ქერა ანგელოზი" უწოდეს.

„როდესაც ოცდაათი წლის ხდები, გრძნობ, რომ ახალგაზრდების მაგალითი ხარ, ამიტომ ემოციებს თოკავ" — ამბობს სწრაფი, ღონივრად დამრტყმელი, მოუსვენარი და კარგი პასის მქონე შემტევი ნახევარმცველი, რომელიც ევროპის ჩემპიონატისადმი თავის დამოკიდებულებას არ მალავს — პორტუგალიაში ევროპის ჩემპიონის ტიტული მომაგებინა და ჩემი ადრე მოპოვებული ტიტულები სულ თქვენთვის დამითმია".

## სხვა არაფერი მინდა, სხვა არაფერი მიყვარს

„ჩეშკე ბუდიოვიცე", „ვიქტორია ჟიჟკოვი", „სლავია პრაღა", „მანჩესტერ იუნაიტედი", „ბენფიკა", „ლაციო" და „სპარტა პრაღა" — სულ ერთია, რომელ გუნდში იყო ჩეხი კარელ პობორსკი, მარჯვენა ფრთაზე ყოველთვის გიჟივით დაჰქროდა.

დღეს ის 32 წლისაა და, ვინ იცის, სიგიჟის ბოლო ეტაპიც უდგას — ნაკრებში ნათამაშები 92 თამაში იმას ნიშნავს, რომ მალე ასიანი გახდება და ამ ასიანს ფეხბურთიდან წასვლის წინ ზედაც ევროპის ჩემპიონის ტიტული თუ დააყოლა, მეტი, წესით, აღარაფერი უნდა უნდოდეს.

„გამარჯვების მეტი არაფერი მინდა და არაფერი მიყვარს — ამბობს პობორსკი — სულერთია, ვარჯიშია, თამაში თუ კიდევ სხვა რამ".

პობორსკის თავიდან ძალიან ბევრი გოლი გაჰქონდა, მაგრამ ევრო 96-ზე, ნახევარფინალში, პორტუგალიასთან წარმატების შემდეგ მხოლოდ ექვსი სანაკრებო გოლიღა შეაგდო. მიუხედავად ამისა, პაველ ნედვედსა და ტომაშ როსიცკისთან ერთად მას ჩეხთა მთავარ შემოქმედ ძალად თვლიან.

რაც შეეხება მის საკლუბო კარიერას, ეს ნამდვილი დოლი გამოდგა. ჯერ იყო და, ევრო 96-ზე მეორე ადგილზე გასვლის შემდეგ პობორსკი



კარელ პობორსკი

ვითომდა ანდრეი კანჩელსკისის შესაცვლელად „მანჩესტერ იუნაიტედმა" წაიყვანა, მაგრამ „მანჩესტერში" მას ორი უარყოფითი მომენტი დახვდა: ინგლისური, რომელიც არ იცოდა და დევიდ ბექემი, რომელიც, როგორც გაირკვა, სჯობდა.

შემდეგ იყო ლისაბონის „ბენფიკა", სადაც ჩეხმა სამი წელიწადი იბურთავა და მერე პაველ ნედვედს „ლაციოში" შეუერთდა, თუმცა რომაული კლუბი დიდ ფინანსურ კრიზისში დახვდა.

„ვამაყობ, რომ ერთადერთი ჩეხი ფეხბურთელი ვარ, რომელმაც ინგლისის ჩემპიონის ტიტული მოვიპოვე" — აცხადებს დღეს პრაღის „სპარტას" ფეხბურთელი.

# სარბიელი და კროკო წარმოგიდგენთ

## ევროპის ჩემპიონატი 2004. ჯგუფური ეტაპი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 12 ივნისი | | | | | | | | |
| 21.00 | 001 | პორტუგალია-საბერძნეთი | 1,55 | 3,3 | 7,0 | 1,05 | 1,26 | 2,24 |
| 23.45 | 002 | ესპანეთი-რუსეთი | 1,6 | 3,3 | 6,0 | 1,07 | 1,26 | 2,12 |
| 13 ივნისი | | | | | | | | |
| 21.00 | 003 | შვეიცარია-ხორვატია | 2,9 | 3,2 | 2,3 | 1,52 | 1,28 | 1,33 |
| 23.45 | 004 | საფრანგეთი-ინგლისი | 2,05 | 3,1 | 3,5 | 1,23 | 1,29 | 1,64 |
| 14 ივნისი | | | | | | | | |
| 21.00 | 005 | დანია-იტალია | 4,6 | 3,2 | 1,75 | 1,88 | 1,26 | 1,13 |
| 23.45 | 006 | შვედეთი-ბულგარეთი | 2,2 | 3,1 | 3,2 | 1,28 | 1,3 | 1,57 |
| 15 ივნისი | | | | | | | | |
| 21.00 | 007 | გერმანია-ჰოლანდია | 2,9 | 3,1 | 2,35 | 1,49 | 1,29 | 1,33 |
| 23.45 | 008 | ჩეხეთი-ლატვია | 1,35 | 4,0 | 9,0 | 1 | 1,17 | 2,76 |
| 16 ივნისი | | | | | | | | |
| 21.00 | 009 | საბერძნეთი-ესპანეთი | 7,0 | 3,5 | 1,5 | 2,33 | 1,23 | 1,04 |
| 23.45 | 010 | რუსეთი-პორტუგალია | 5,6 | 3,4 | 1,6 | 2,11 | 1,24 | 1,08 |
| 17 ივნისი | | | | | | | | |
| 21.00 | 011 | ინგლისი-შვეიცარია | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| 23.45 | 012 | ხორვატია-საფრანგეთი | 6,0 | 3,5 | 1,55 | 2,21 | 1,23 | 1,07 |
| 18 ივნისი | | | | | | | | |
| 21.00 | 013 | ბულგარეთი-დანია | 3,1 | 3,2 | 2,2 | 1,57 | 1,28 | 1,3 |
| 23.45 | 014 | იტალია-შვედეთი | 1,75 | 3,2 | 4,6 | 1,13 | 1,26 | 1,88 |
| 19 ივნისი | | | | | | | | |
| 21.00 | 015 | ლატვია-გერმანია | 7,5 | 4,0 | 1,4 | 2,6 | 1,17 | 1,03 |
| 23.45 | 016 | ჰოლანდია-ჩეხეთი | 2,35 | 3,1 | 2,9 | 1,33 | 1,29 | 1,49 |
| 20 ივნისი | | | | | | | | |
| 23.45 | 017 | ესპანეთი-პორტუგალია | 2,6 | 3,0 | 2,6 | 1,39 | 1,3 | 1,39 |
| 23.45 | 018 | რუსეთი-საბერძნეთი | 2,35 | 3,1 | 2,9 | 1,33 | 1,29 | 1,49 |
| 21 ივნისი | | | | | | | | |
| 23.45 | 019 | ხორვატია-ინგლისი | 4,4 | 3,3 | 1,75 | 1,88 | 1,25 | 1,14 |
| 23.45 | 020 | შვეიცარია-საფრანგეთი | 8,0 | 4,2 | 1,35 | 2,75 | 1,15 | 1,02 |
| 22 ივნისი | | | | | | | | |
| 23.45 | 021 | იტალია-ბულგარეთი | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| 23.45 | 022 | დანია-შვედეთი | 2,6 | 3,0 | 2,6 | 1,39 | 1,3 | 1,39 |
| 23 ივნისი | | | | | | | | |
| 23.45 | 023 | ჰოლანდია-ლატვია | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| 23.45 | 024 | გერმანია-ჩეხეთი | 2,6 | 3,1 | 2,5 | 1,41 | 1,27 | 1,38 |

| | 6001 ჩემპიონი | 6101 ფინალი | 6201 ჯგ.Iად. | 6301 ჯგ.გავა | 6401 ჯგ.ვერ.გავა |
|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 4,5 | 2,2 | 1,75 | 1,15 | 4,0 |
| იტალია | 4,5 | 2,2 | 1,65 | 1,12 | 4,4 |
| პორტუგალია | 6,0 | 3,0 | 2,1 | 1,2 | 3,5 |
| ესპანეთი | 6,0 | 3,0 | 2,1 | 1,25 | 3,1 |
| ინგლისი | 6,0 | 3,0 | 2,5 | 1,3 | 2,8 |
| ჰოლანდია | 8,0 | 4,0 | 2,5 | 1,3 | 2,8 |
| ჩეხეთი | 12,0 | 6,0 | 2,8 | 1,5 | 2,2 |
| გერმანია | 15,0 | 7,0 | 3,1 | 1,55 | 2,1 |
| შვედეთი | 25,0 | 12,0 | 4,5 | 1,9 | 1,7 |
| დანია | 30,0 | 13,0 | 4,6 | 1,95 | 1,65 |
| რუსეთი | 50,0 | 25,0 | 8,0 | 3,2 | 1,23 |
| ხორვატია | 50,0 | 20,0 | 8,0 | 2,9 | 1,27 |
| ბულგარეთი | 50,0 | 25,0 | 7,5 | 2,9 | 1,27 |
| საბერძნეთი | 75,0 | 35,0 | 8,0 | 3,8 | 1,16 |
| შვეიცარია | 75,0 | 35,0 | 12,0 | 3,8 | 1,16 |
| ლატვია | 200,0 | 75,0 | 30,0 | 8,0 | 1,02 |


CROCO BOOKMAKERS კროკო

ისარგებლეთ კროკოს ახალი მომსახურებით



ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **შვედეთი. სუპერეტა. IX ტური** | | | | | | |
| | | **9 ივნისი** | | | | | | |
| 23.00 | 052 | ბოდენსი-ფრისკა | 1,65 | 3,5 | 4,4 | 1,12 | 1,2 | 1,94 |
| 23.00 | 053 | ოპერა-ბრომაპოიკარნა | 1,95 | 3,3 | 3,3 | 1,22 | 1,22 | 1,65 |
| 23.00 | 054 | ფალკენბერგი-იოსტერსი | 3,1 | 3,4 | 2,0 | 1,62 | 1,21 | 1,25 |
| 23.00 | 055 | გაის-ატვიდაბერგი | 2,0 | 3,2 | 3,3 | 1,23 | 1,24 | 1,62 |
| 23.00 | 056 | გეფლე-ბრაგე | 1,75 | 3,4 | 3,8 | 1,15 | 1,19 | 1,79 |
| 23.00 | 057 | ნორჩიოპინგი-ასირისკა | 1,9 | 3,3 | 3,4 | 1,2 | 1,21 | 1,67 |
| 23.00 | 058 | ვესტეროსი-ენჩიოპინგი | 2,05 | 3,3 | 3,1 | 1,26 | 1,23 | 1,59 |
| | | **ნორვეგია. ტიპელიგა. X ტური** | | | | | | |
| | | **9 ივნისი** | | | | | | |
| 22.00 | 072 | რუსენბორგი-ბოდიო გლიმტი | 1,35 | 4,2 | 7,5 | 1,02 | 1,14 | 2,69 |
| | | **ისლანდია. პრემიერ დივიზიონი. V ტური** | | | | | | |
| | | **9 ივნისი** | | | | | | |
| 01.00 | 109 | რეიკიავიკი-აკრანესი | 2,3 | 3,0 | 2,9 | 1,3 | 1,28 | 1,47 |
| | | **ურუგვაი. პრიმერა. გადადებული მატჩი** | | | | | | |
| | | **9 ივნისი** | | | | | | |
| 23.30 | 197 | ნასიონალი-კოლონია | 1,45 | 3,6 | 6,5 | 1,03 | 1,18 | 2,31 |
| | | **ჩილე. აპერტურა** | | | | | | |
| | | **9 ივნისი** | | | | | | |
| 04.00 | 213 | უაჩიპატო-კოლო კოლო | 2,3 | 3,2 | 2,7 | 1,33 | 1,24 | 1,46 |
| | | **მექსიკა. კლაუსურა** | | | | | | |
| | | **10 ივნისი** | | | | | | |
| 06.45 | 220 | ჩივასი-პუმასი | 2,3 | 3,2 | 2,7 | 1,33 | 1,24 | 1,46 |
| | | **აშშ. MLS. XI ტური** | | | | | | |
| | | **9 ივნისი** | | | | | | |
| 06.30 | 225 | კოლორადო-კანზასი | 2,05 | 3,1 | 3,3 | 1,23 | 1,26 | 1,59 |
| | | **ნორვეგია. თასი. 1/16 ფინალი** | | | | | | |
| | | **9 ივნისი** | | | | | | |
| 21.00 | 243 | მოსი-ფრედრიკსტადი | 3,0 | 3,4 | 2,05 | 1,59 | 1,21 | 1,27 |
| 21.00 | 244 | კონგსვინგერი-ალესუნდი | 2,45 | 3,5 | 2,3 | 1,44 | 1,18 | 1,38 |
| 21.00 | 245 | ჰამარი-სკეიდი | 1,35 | 4,2 | 7,0 | 1,02 | 1,13 | 2,62 |
| 21.00 | 246 | სანდეფიორდი-სტარტი | 2,4 | 3,4 | 2,4 | 1,4 | 1,2 | 1,4 |
| 21.00 | 247 | ვიკინგი-ბრინი | 1,35 | 4,4 | 6,5 | 1,03 | 1,11 | 2,62 |
| 21.00 | 248 | ჰაუგესუნდი-ოდ გრენლანდი | 4,8 | 3,8 | 1,55 | 2,12 | 1,17 | 1,1 |
| 21.00 | 249 | ბრანი-ჰიოდი | 1,15 | 5,6 | 11,0 | 1 | 1,04 | 3,71 |
| 21.00 | 250 | სოგნდალი-მანდალი | 1,4 | 4,2 | 6,0 | 1,04 | 1,13 | 2,47 |
| 21.00 | 251 | მოლდე-ვარდ ჰაუგესუნდი | 1,15 | 5,6 | 11,0 | 1 | 1,04 | 3,71 |
| | | **ბრაზილია. თასი** | | | | | | |
| | | **9 ივნისი** | | | | | | |
| 05.45 | 255 | ვიტორია-ფლამენგო | 1,7 | 3,3 | 4,4 | 1,12 | 1,22 | 1,88 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ლიბერტადორესის თასი. 1/2 ფინალი. I ეტაპი** | | | | | | |
| | | **9 ივნისი** | | | | | | |
| 05.45 | 257 | სან პაულუ-ონსე კალდასი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| | | **10 ივნისი** | | | | | | |
| 05.00 | 258 | ბოკა ხუნიორსი-რივერ პლეიტი | 2,1 | 3,2 | 3,1 | 1,26 | 1,25 | 1,57 |
| | | **ევრო 2004** | | | | | | |
| | | **12 ივნისი** | | | | | | |
| 21.00 | 001 | პორტუგალია-საბერძნეთი | 1,55 | 3,3 | 7,0 | 1,05 | 1,26 | 2,24 |
| 23.45 | 002 | ესპანეთი-რუსეთი | 1,6 | 3,3 | 6,0 | 1,07 | 1,26 | 2,12 |
| | | **13 ივნისი** | | | | | | |
| 21.00 | 003 | შვეიცარია-ხორვატია | 2,9 | 3,2 | 2,3 | 1,52 | 1,28 | 1,33 |
| 23.45 | 004 | საფრანგეთი-ინგლისი | 2,05 | 3,1 | 3,5 | 1,23 | 1,29 | 1,64 |
| | | 14 ივნისი | | | | | | |
| 21.00 | 005 | დანია-იტალია | 4,6 | 3,2 | 1,75 | 1,88 | 1,26 | 1,13 |
| 23.45 | 006 | შვედეთი-ბულგარეთი | 2,15 | 3,1 | 3,3 | 1,26 | 1,3 | 1,59 |

## ფორმულა 1. კანადა. 12 ივნისი (17.00)

| 8001 გამარჯვებული | ექვსეული | 8301 უსწრ. წრე |
|---|---|---|
| მ.შუმახერი ---------- 1,4 | 1,06 ---------- 1,03 | 1,45 |
| ბარიკელო ---------- 7,0 | 1,7 ---------- 1,1 | 5,0 |
| მონტოია ---------- 8,0 | 1,8 ---------- 1,15 | 5,0 |
| რ.შუმახერი ---------- 18,0 | 4,0 ---------- 1,25 | 12,0 |
| კულტჰარდი ---------- 40,0 | 9,0 ---------- 1,5 | 25,0 |
| რაიკონენი ---------- 25,0 | 6,0 ---------- 1,35 | 15,0 |
| ტრული ---------- 12,0 | 3,0 ---------- 1,2 | 9,0 |
| ალონსო ---------- 11,0 | 2,4 ---------- 1,15 | 7,0 |
| ბატონი ---------- 6,0 | 1,6 ---------- 1,1 | 5,0 |
| სატო ---------- 25,0 | 5,0 ---------- 1,25 | 15,0 |
| ფიზიკელა ---------- 100,0 | 25,0 ---------- 3,5 | 40,0 |
| მასა ---------- 150,0 | 30,0 ---------- 4,0 | 50,0 |
| უებერი ---------- 100,0 | 25,0 ---------- 3,5 | 40,0 |
| კლიენი ---------- 150,0 | 30,0 ---------- 4,0 | 50,0 |
| და მატა ---------- 150,0 | 30,0 ---------- 4,0 | 50,0 |
| პანისი ---------- 150,0 | 30,0 ---------- 4,0 | 50,0 |
| ჰაიდფელდი ---------- 250,0 | 50,0 ---------- 7,0 | 75,0 |
| პანტანო ---------- 300,0 | 50,0 ---------- 7,0 | 75,0 |
| ბრუნი ---------- 500,0 | 100,0 ---------- 12,0 | 100,0 |
| ბაუმგარტნერი ---------- 500,0 | 100,0 ---------- 12,0 | 100,0 |

# შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| | **12 ივნისი** | | |
| 5301 | პორტუგალია-საბერძნეთი | 1,75 | 1,85 |
| 5302 | ესპანეთი-რუსეთი | 1,65 | 1,95 |
| | **13 ივნისი** | | |
| 5303 | შვეიცარია-ხორვატია | 1,65 | 1,95 |
| 5304 | საფრანგეთი-ინგლისი | 1,65 | 1,95 |
| | **14 ივნისი** | | |
| 5305 | დანია-იტალია | 1,65 | 1,95 |
| 5306 | შვედეთი-ბულგარეთი | 1,7 | 1,9 |
| | **15 ივნისი** | | |
| 5307 | გერმანია-ჰოლანდია | 1,65 | 1,95 |
| 5308 | ჩეხეთი-ლატვია | 1,8 | 1,8 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| | **12 ივნისი** | | |
| 5401 | პორტუგალია-საბერძნეთი | 1,4 | 3,0 |
| 5402 | ესპანეთი-რუსეთი | 1,45 | 2,8 |
| | **13 ივნისი** | | |
| 5403 | შვეიცარია-ხორვატია | 2,0 | 1,8 |
| 5404 | საფრანგეთი-ინგლისი | 1,75 | 2,1 |
| | **14 ივნისი** | | |
| 5405 | დანია-იტალია | 2,5 | 1,55 |
| 5406 | შვედეთი-ბულგარეთი | 1,8 | 2.0 |
| | **15 ივნისი** | | |
| 5407 | გერმანია-ჰოლანდია | 2,0 | 1,8 |
| 5408 | ჩეხეთი-ლატვია | 1,25 | 3,6 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| | **12 ივნისი** | | |
| 5201 | პორტუგალია-საბერძნეთი | 1,7 | 1,9 |
| 5202 | ესპანეთი-რუსეთი | 1,8 | 1,8 |
| | **13 ივნისი** | | |
| 5203 | შვეიცარია-ხორვატია | 1,7 | 1,9 |
| 5204 | საფრანგეთი-ინგლისი | 1,75 | 1,85 |
| | **14 ივნისი** | | |
| 5205 | დანია-იტალია | 1,7 | 1,9 |
| 5206 | შვედეთი-ბულგარეთი | 1,7 | 1,9 |
| | **15 ივნისი** | | |
| 5207 | გერმანია-ჰოლანდია | 1,75 | 1,95 |
| 5208 | ჩეხეთი-ლატვია | 1,9 | 1,7 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| | **12 ივნისი** | | | |
| 5501 | პორტუგალია-საბერძნეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5502 | ესპანეთი-რუსეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | **13 ივნისი** | | | |
| 5503 | შვეიცარია-ხორვატია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5504 | საფრანგეთი-ინგლისი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | **14 ივნისი** | | | |
| 5505 | დანია-იტალია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5506 | შვედეთი-ბულგარეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | **15 ივნისი** | | | |
| 5507 | გერმანია-ჰოლანდია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5508 | ჩეხეთი-ლატვია | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## I ტაიმის შედეგი

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **12 ივნისი** | | | | | | |
| 5001 | პორტუგალია-საბერძნეთი | 1.9 | 2,3 | 5.6 | 1.04 | 1.41 | 1.63 |
| 5002 | ესპანეთი-რუსეთი | 2,05 | 2.15 | 5.6 | 1.04 | 1.5 | 1.55 |
| | **13 ივნისი** | | | | | | |
| 5003 | შვეიცარია-ხორვატია | 3,5 | 2.05 | 2,8 | 1,29 | 1,55 | 1.18 |
| 5004 | საფრანგეთი-ინგლისი | 2,6 | 2.05 | 3,8 | 1.14 | 1,54 | 1,33 |
| | **14 ივნისი** | | | | | | |
| 5005 | დანია-იტალია | 4,8 | 2,1 | 2,25 | 1,46 | 1,53 | 1,08 |
| 5006 | შვედეთი-ბულგარეთი | 2,6 | 2,05 | 3,8 | 1,14 | 1,54 | 1,33 |
| | **15 ივნისი** | | | | | | |
| 5007 | გერმანია-ჰოლანდია | 3,6 | 2,05 | 2,7 | 1,3 | 1,54 | 1,16 |
| 5008 | ჩეხეთი-ლატვია | 1,65 | 2,6 | 7,0 | 1 | 1,33 | 1,89 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **12 ივნისი** | | | | | | | | | |
| 5101 | პორტუგალია-საბერძნეთი | 2,1 | 12,0 | 25,0 | 3,5 | 4,8 | 12,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 5102 | ესპანეთი-რუსეთი | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,6 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| | **13 ივნისი** | | | | | | | | | |
| 5103 | შვეიცარია-ხორვატია | 4,4 | 10,0 | 20,0 | 5,3 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| 5104 | საფრანგეთი-ინგლისი | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| | **14 ივნისი** | | | | | | | | | |
| 5105 | დანია-იტალია | 7,0 | 10,0 | 20,0 | 8,0 | 4,6 | 3,5 | 20,0 | 10,0 | 2,5 |
| 5106 | შვედეთი-ბულგარეთი | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| | **15 ივნისი** | | | | | | | | | |
| 5107 | გერმანია-ჰოლანდია | 4,6 | 10,0 | 20,0 | 5,3 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| 5108 | ჩეხეთი-ლატვია | 1,7 | 15,0 | 30,0 | 3,5 | 5,6 | 15,0 | 25,0 | 15,0 | 15,0 |



*ამ ზაფხულს საქართველოს კალათბურთის ფედერაციაში მოსვენება არ იქნება. ეროვნულ, ჭაბუკთა და კადეტთა ნაკრებებს საერთაშორისო სარბიელზე უწევთ თამაში. თან მხოლოდ ოფიციალური ტურნირები ხომ არაა, აქეთ მომზადებაო, იქით ფინანსური უზრუნველყოფაო. მოკლედ, სამუშაო ბევრია და თან მეტად საპასუხისმგებლო. ჩვენც ფედერაციის გენერალურ მდივანს, მერაბ რატიშვილს ვეწვიეთ და თავიდან სიტყვა ეროვნულ გუნდზე ჩამოვუგდეთ, რომლის კანდიდატთა სია მთავარ მწვრთნელ დრაჟან ბრაიკოვიჩს საგანგებოდ გამოუგზავნია ხორვატიიდან*

# ცხელი ზაფხული გველის
## კალათბურთი ივნისიდან გახურდება

— როგორია ეროვნული ნაკრების უახლოესი გეგმები?

— ნაკრები 25 ივნისს „დინამოს“ ბაზაზე შეიკრიბება საქართველოში მყოფი ლეგიონერებით. მთავარმა მწვრთნელმა დრაჟენ ბრაიკოვიჩმა, რომელიც ახლა ხორვატიაშია, უკვე დაასახელა ის 22 კანდიდატი, რომელთაგანაც საბოლოოდ 12-ს დაიტოვებს ოფიციალური მატჩებისთვის. არაა გამორიცხული, ამ 22 კანდიდატს კიდევ დაემატოს ვინმე. ეს უკვე ბრაიკოვიჩის საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ გვეცოდინება.

— ნაკრები სრულად როდის შეიკრიბება?

— მაგის თქმა ზუსტად შეუძლებელია, რადგან არავინ იცის, როდის გათავისუფლდებიან ნბა-ში მოთამაშე ლეგიონერები. ისინი ინდივიდუალური პროგრამით ვარჯიშობენ და ეგებ 25 ივნისსვე შემოგვიერთდნენ, ანაც ერთი ან ორი კვირის დაგვიანებით.

— როდემდე გაგრძელდება შეკრება?

— სულ მცირე, ერთ თვეს. 25 ივნისიდან ნაკრებს თანდათან შეუერთდება ხალხი და 18 ივლისს ბრაიკოვიჩი იმ 12 კაცს დაასახელებს, რომლებსაც იტალიურ ტურნირზე წაიყვანს.

— როგორ მოხერხდა ამ ტურნირში მონაწილეობა და საქართველოს გარდა კიდევ ვინ ჩამოვა იტალიაში?

— იტალიურ ტურნირში მონაწილეობა კარგა ხნის წინ გადაწყდა. ჩვენ სხვადასხვა ფედერაციებს შევეხმიანეთ, საზაფხულოდ რამე ამხანაგურ ტურნირს ხომ არ გეგმავთო. ჩვენთვის ყველაზე მისაღები სწორედ იტალიური ტურნირი აღმოჩნდა და პასუხიც მივწერეთ, გველოდეთ, ჩამოვალთო. მხოლოდ ის იყო უცნობი, ჩვენი, იტალიისა და რუსეთის ნაკრებებთან ერთად კიდევ რომელი ქვეყნის გუნდი მიიღებდა ამ ტურნირში მონაწილეობას. ამ დღეებში მეოთხე მონაწილეც გაცხადდა — შვედეთი.

— რომელ ქალაქში გაიმართება ტურნირი და რამე წინაღობა ხომ არ არსებობს? აქამდე ხომ სულ პრობლემებთან იყო დაკავშირებული ნაკრების უცხოეთში გამგზავრება...

— ტურნირი ანკონიდან 64 კილომეტრში, ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე გაიმართება. ჩვენები იქ 18 ივნისს ჩავლენ და ტურნირის დაწყებამდე 3-4 დღე ივარჯიშებენ. რაც შეეხება ფინანსებს, ყველაფერი მოგვარებულია. ეროვნულ გუნდს არავითარი პრობლემა არ შეექმნება არც იტალიაში და არც შემდეგ, საკვალიფიკაციო მატჩებისას.

— იტალიური ტურნირით დასრულდება სანაკრებო შეკრება?

— დიახ, იტალიაში ყველა თავისუფალი იქნება და ვისაც ენდომება, იქიდანვე წავა თავის კლუბსა თუ ნებისმიერ საქმეზე. ამის შემდეგ ნაკრები დაახლოებით ერთი თვე დაისვენებს და 1 სექტემბერს თბილისში შეიკრიბება, ერთ კვირაში კი საკვალიფიკაციო ტურნირიც დაიწყება.

— ნბა-ში მოთამაშეთა დაზღვევის საკითხი მოგვარებულია?

— ჩვენი მხრიდან პრობლემა არ არსებობს, დაზღვევის გადასახდელად მზად ვართ, ოღონდ ეგაა, ნბა-ს ჯერ არ უცნობებია სადაზღვევო თანხის ოდენობა და ის საბანკო ანგარიშები, სადაც თანხა უნდა გადავრიცხოთ. ალბათ მალე ყველაფერი გვეცოდინება და ნბა-ს ქართულ ტრიოსაც დავაზღვევთ.

— ივლისში ჭაბუკთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ითამაშებს. მისთვის ხომ არ იგეგმება რაიმე მოსამზადებელი ტურნირი?

— სამწუხაროდ, არა. ჩვენ დავუკავშირდით არაერთ ფედერაციას, მაგრამ ჩვენთვის ხელსაყრელ პერიოდში ტურნირი არსად იმართება. ჭაბუკები დღე-დღეზე თბილისში შეიკრიბებიან და ესპანეთში გამგზავრებამდე აქ მოემზადებიან.

— ჭაბუკთა ნაკრების რამდენიმე წევრი ეროვნული ნაკრების კანდიდატიცაა. ისინი თუ მოახერხებენ ბრაიკოვიჩის გუნდში ვარჯიშს?

— ეგ უკვე მწვრთნელების გადასაწყვეტია. დასხდებიან და შეთანხმდებიან, ვინ სად ივარჯიშებს. ჭაბუკები ალბათ მაინც ჭაბუკთა ნაკრებში ივარჯიშებენ, ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი 9 ივლისს იწყება და შეთამაშება სჭირდებათ. ხოლო ის ჭაბუკები, რომლებიც საიტალიო 12-ეულში მოხვდებიან, იტალიაში ესპანეთიდან ჩავლენ, ევროპის ჭაბუკთა ჩემპიონატი 18 ივლისს მთავრდება.

— და კადეტთა ნაკრებზეც ვთქვათ, მასაც ევროსარბიელზე უწევს ივლისში თამაში...

— კადეტები ევროპის შესარჩევ ტურნირში მიიღებენ მონაწილეობას, რომელიც 6-15 ივლისს საბერძნეთში გაიმართება. ნიკო ჩერქეზიშვილის გუნდი კარგ მოსამზადებელ პერიოდს გაივლის. 14 ივნისს კადეტები კიევში მიემგზავრებიან, სადაც 5 მატჩს გამართავენ — სამს ტურნირზე და ორსაც ამხანაგურს. კიევში იქნებიან თურქეთის, რუსეთისა და უკრაინის ნაკრებები. ჩვენი კადეტები იქ 21 ივნისამდე დარჩებიან.

**ირაკლი პერტაია**

### საქართველოს ეროვნული ნაკრების კანდიდატები

**ცენტრები:** *ვლადიმერ სტეფანია (პორტლენდი, აშშ), ზაზა ფაჩულია (ორლანდო, აშშ), დავით ბერძენიშვილ (ბასკო), დავით უგრეხელიძე (კრკა, სლოვენია)*

**თავდამსხმელები:** *ვახტანგ ნაცვლიშვილი (დიჟონი, საფრანგეთი), ნიკოლოზ ცქიტიშვილი (დენვერი, აშშ), ვლადიმერ ბოისა (ოლიმპია, სლოვენია), ვალერი კილაძე (დინამო), ზვიად ბაბიაშვილი (სტუ-ჯეოსელი)*

**მსროლელ-ფრთები:** *მანუჩარ მარკოიშვილი (ბენეტონი, იტალია), ვიქტორ სანიკიძე (დიჟონი, საფრანგეთი), ლაშა კეშელავა (ბასკო), შიო ხეცურიანი (სტუ-ჯეოსელი), რამაზ გოგობერიშვილი (დინამო), ლაშა ლოსაბერიძე (დინამო), ანატოლი ბოისა (ბასკო), ირაკლი ხოშტარია (დინამო), კოტე ტუღუში (დინამო), ირაკლი მაისურაძე (თსუ)*

**გამთამაშებლები:** *გიორგი ცინცაძე (ცსკა, რუსეთი), ლაშა გამყრელიძე (დინამო), ირაკლი ბერიშვილი (ბასკო), არჩილ ქლენტი (დინამო), გიორგი ნიკოლაძე (სტუ-ჯეოსელი)*

## ლეიკერსი 0:1 დეტროიტი

# დახტოდა, დაჭრიჭინებდა
## მილიჩიჩი კარგი მაყურებელი და ცუდი არჩევანი გამოდგა

ამ კვირადღეს „დეტროიტმა“ ლოს ანჯელესში იქაურ „ლეიკერსს“ ფინალური სერიის პირველი მატჩი 12-ქულიანი სხვაობით მოუგო, ეს უკვე იცით. სასწორზე ჩემპიონობა დევს და წესით, მწვრთნელებმა ყველაზე ნაკლებად სწორედ ახლა უნდა მიმართონ ექსპერიმენტებს, მაგრამ „დეტროიტი“ მეორე ტაიმში დამაჯერებლად უგებდა „ლეიკერსს“ და მწვრთნელმა ლარი ბრაუნმაც წამყვან მოთამაშეებს სათადარიგოები მოუნაცვლა. 20 თუ 5 წუთით ყველა ათამაშა გარდა ერთისა — დარკო მილიჩიჩი მატჩის დაწყებასაც და დამთავრებასაც სათადარიგოთა სკამზე შეხვდა. მხოლოდ მაშინ უწევდა წამოდგომა, როცა ბრაუნი წუთშესვენებას აიღებდა და „ლეიკერსთან“ ბრძოლაში დაქანცული მოთამაშეებისთვის ადგილის მოთავისუფლება იყო საჭირო.

და განა მარტო ფინალში არ ენდო ბრაუნი მას. მილიჩიჩი მთელი სეზონი ჯანმრთელი იყო, მაგრამ რეგულარული ჩემპიონატის 82 მატჩიდან მხოლოდ 34-ში ითამაშა, ისიც საშუალოდ 4,7 წუთით და სეზონი სასაცილო მაჩვენებლებით, საშუალოდ 1.4 ქულით და 1.3 მოხსნით დაასრულა. პლეი ოფში ის კიდევ უფრო მყარად შეეზარდა სკამს — მხოლოდ 5 თამაშში შენიშნეს, ჯამში 9 წუთი ითამაშა და ერთადერთი ქულით „მოიწონებს“ თავს. ზედმეტი ხომ არაა იმ გუნდში, რომელიც დღეს-ხვალ შეიძლება ჩემპიონი გახდეს?

თავად დარკო თავს ზედმეტად არა და, უკმაყოფილოდ კი გრძნობს. მას შემდეგ, რაც ნბა-მ ზარ-ზეიმით მიიღო, „დეტროიტმა“ 213-სანტიმეტრიანი 17 წლის სერბი დრაფტზე მეორე ნომრად აიყვანა და თავის მომავლად დაისახა, როგორ შეეგუებოდა მილიჩიჩი სკამს?!

დარკო მთელი სეზონი ტყუილად დაეხეტებოდა „პისტონზის“ ვარჯიშზე, გუნდს მე-12 კაცად დაჰყვებოდა ქალაქიდან ქალაქში და რაკი თავისი ადგილი მოედანზე ვერ იპოვა, მაღაზიებში საყიდლებზე სიარულს მოუხშირა — რაღაცაში ხომ უნდა დაეხარჯა ფული და დრო. კიდევ ყური გაიხვრიტა და რამდენიმე თვეში ორჯერ შეიღება თმა. რაღა ბევრი გავაგრძელოთ და — „დახტოდა, დაჭრიჭინებდა ჭრიჭინობელა პატარა“. ხოლო სეზონი რომ დამთავრდა, მან თავს უკმაყოფილების გამოთქმის ნება მისცა — „ძნელი იყო მთელი წელი ყურება და არაფრის კეთება. მე მეგონა, 10 წუთს მაინც ვითამაშებდი ყოველ მატჩში, მაგრამ არ მომცეს შანსი, მეჩვენებინა რაც შემეძლო. თავს ძალიან ცუდად ვგრძნობ, მაგრამ მაინც არავის ვამტყუნებ.“

მართლაც და, ვინ უნდა გაამტყუნოს? რა ხელი აქვს „დეტროიტთან“ 18 წლის ბიჭს, რომელიც სერბიული სოფლიდან ნბა-ში დასვეს და მილიონობით ავანსი უბოძეს?

თავად „დეტროიტის“ ბოსს ჯო დუმარსს ხშირად წამოაძახებენ, დრაფტზე მეორე არჩევანი გქონდა და ამ აყლაყუდაზე დახარჯე, არადა, იმ დრაფტზე მოგვიანებით არჩეულები — კარმელო ენტონი და დუეინ ვეიდი ვარსკვლავები გახდნენ და თავიანი გუნდები პლეი ოფში გაიყვანესო. სულ ახლახანაც ჰკითხეს, რაზეც დუმარსმა შემკითხველს მსწრაფლ მიახალა — დღეს ჩვენი საფიქრალი ნბა-ს ჩემპიონობაა, მილიჩიჩი კი მომავლის საქმეაო.

ახლა მილიჩიჩი უარს აცხადებს საზაფხულო ლიგაში წაბურთავებაზე და მიუხედავად იმისა, რომ თითქმის მთელი წელი კალათბურთი არ უთამაშია, ამბობს, სერბეთ-ჩერნოგორიის საოლიმპიადო ნაკრებში უნდა მოვხვდეო.

იქნებ მოხვდეს კიდეც, თუმც ეს ნაკლებ სავარაუდოა. სერბებს იმდენი კარგი მოთამაშე ჰყავთ, 12-კაციან გუნდში ყველას ადგილი ვერ მოინახება. სერბებმა იციან კალათბურთელების გამოზრდა. ალბათ, მილიჩიჩისგანაც კარგ ცენტრს გამოთლიდნენ, ეს ჯეელი 17 წლისა ამერიკაში რომ არ გაქცეულიყო.

**კოტე ყორშია**




ზუსტად ერთი წლის წინ დარკო მილიჩიჩი დრაფტის გმირი იყო, ახლა კი...

## ჰოკეი

### თასის ფინალი

# ფლორიდაში ყინული გალღვა

## ტამპაამ მოწმენდილ ცაზე გაიელვა

*7 ივნისს მზიური ფლორიდის შტატის ქალაქ ტამპაში ულრუბლო ცაზე მეხი გავარდა — იქაურმა ჰოკეის გუნდმა „ტამპა-ბეი ლაითნინგმა" ანუ ელვამ სტენლის თასის ფინალის გადამწყვეტ მატჩში კანადურ „კალგარის" მოუგო. უნიკალური შემთხვევაა — ეს პირველი ტიტულია არა მარტო „ტამპა-ბეისთვის", არამედ საერთოდ შტატისთვის.*



7 ივნისი

**ტამპა 4:3 კალგარი**

**ტამპა 2:1 კალგარი**
*1:0 1:0 0:1*

1:0 ფედოტენკო (14), 2:0 ფედოტენკო (35), 2:1 კონროი (50)

**ტამპა:** ხაბიბულინი; კუბინა–სიდორი, ბოილი–კოლიმორი, სარიჩი–პრატი; სტილგანი–ლეკავალიე–ფედოტენკო, სან ლუი–რიჩარდსი–მოდინი, ტეილორი–ანდრეიჩუკი–აფანასენკოვი, კლაიმერი–იბაკი–დინგმანი

**კალგარი:** კიპრუსოფი; რეგე–ლეოპოლდი, ფერენსი–უორინერი, ლუდმანი–მონტადორი; იგინლა–კონროი–ჟელინა, საპრიკინი–ნ. ტონი–ნიემინენი, კლარკი–იელი–საიმონი, ლოური–კობასიუ–ოლივა

მატჩის 47-ე წუთი მიმდინარეობდა, როცა ტელეეკრანებსა და „სენტპიტს ფირუმის" ჭერზე დამაგრებულ უზარმაზარ შუქფარზე სტენლის თასი აჩვენეს... კაცი სპორტის ისტორიაში უძველეს თასს საგანგებო ცერემონიალისთვის ამზადებდა. მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი დროის დასრულებამდე 13 წუთი რჩებოდა, ყველას, მათ შორის ტელეოპერატორებს, ყველაფერი გადაწყვეტილი ეგონათ.

ანგარიში არცთუ დამაჯერებელი იყო, 2:0 „ტამპას" სასარგებლოდ, მაგრამ თამაშიდან ისე ჩანდა, რომ „კალგარის" უკვე იმედი წარეკვეთა. ამერიკელ მაყურებელს კი უგერგილო და უფერული თამაში არ უყვარს. მეშვიდე მატჩში ინტრიგა თუ არ იქნებოდა, ვის დააინტერესებდა და რაკი „კალგარი" ვერაფერს ვერ ახერხებდა, მსაჯები წაეშველნენ. ხომ გახსოვთ, წინა მატჩში „ალებს" გოლი არ ჩაუთვალეს, ვინაიდან ვიდეოჩანაწერზე კარგად არ ჩანდა, გადაკვეთა შაიბამ კარის ხაზი თუ არა. სხვათა შორის, ის გოლი რომ ჩაეთვალათ, „კალგარი" ჩემპიონი გახდებოდა. ჰოდა, იმ თამაშის ერთ-ერთ არბიტრ ბილ მაკრირის — რომელიც მეშვიდე მატჩზეც დაინიშნა — ეტყობა სინდისი აწუხებდა. აილო მსაჯმა და სრულიად უმიზეზოდ დააჯარიმა ტამპელი ნოლან პრატი. რიცხობრივ უმრავლესობაში კი კრეიგ კონროიმ დაარტყა ბრწყინვალედ და თამაში, რომელიც დასასრულისკენ მშვიდად მიდიოდა, უაღრესად დაიძაბა. სტუმრებმა ბოლო ძალები მოიკრიბეს და ნამდვილი შტურმი მოაწყეს მეტოქის კართან. რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნეს. განსაკუთრებით კარგი შანსი მიეცა ჯორდან ლეოპოლდს და მანაც ცარიელ კუთხეში გააგზავნა შაიბა, მაგრამ ნიკოლაი ხაბიბულინმა სასწაულებრივად მოიგერია. ბოლო წუთზე კი კალგარელთა თავგანწირვა მათმა მცველმა ენდრიუ ფერენსმა მისცა წყალს — ზედმეტი მოუვიდა, ჯარიმა დაიმსახურა და ბოლო წამებზე „ალებს" მეკარის გამოცვლის საშუალებაც კი არ ჰქონდათ...

ბოლო წლებში ფინალში დამარცხებულ არც ერთ გუნდს არ გამოუწვევია ისეთი სიბრალული, როგორიც „კალგარის". კანადურმა გუნდმა თავისი ჯიგრიანი და ჟინიანი თამაშით ბევრი ქომაგი შეიმატა, რაკი ხალხს ძველი კანადური ჰოკეის მებრძოლი სული გაახსენა. თან ჰოკეის სამშობლოს ხომ 11 წელიწადია, თასი არ მოუგია. მაგრამ თამაში თამაშია და სამართლიანობა მოითხოვს, ვაღიაროთ, რომ მეშვიდე მატჩში „ტამპა" უფრო იმსახურებდა მოგებას.

**სამველ ლარიბიანი**

## ჩოგბურთი

# ნაროლანგაროსევი აიწონა-დაიწონა



ანასტასია მისკინა



გასტონ გაუდიო

წლევანდელი როლანგაროსობა ისეთი მოულოდნელი გამოდგა, საქმეში ჩახედულ ხალხს ყველანაირი დავთრები აერია. უილიამსების უფორმობისა და ბელგიელთა ტრავმიანობის ფონზე რომ ყველა ფრანგთა მთავარჯილის ამელი მორესმოს გალაღებას მოველოდით, თურმე უკვე რუსგოგოთა ამოსლემრიერაჟების ჟამი დამდგარიყო.

კაცთა მხარეზე კი ჯერ ის პროგნოზი წაგვემურდლა, რომლის ძალითაც ამქრის ზეგარდმო პირველოსან როჯერ ფედერერს ყველასთვის უნდა გადაეფარფატა, მერე კი ყველანი კორიაზე რომ ჩავედით ფსონებს, გასტონ გაუდიომ ჩოგნები ისევ ნაცარში ჩაგვიყარა.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, თუკი პარიზული სეფეთიხნარობისთვის პულტი არ გიდევნებიათ, ნაამროლანგაროსევი რეიტინგსიების მიხედვით თავადვე მიხვდებით, ტურნირზე ვის რისი გაკეთება მოუხერხდა. ცხადია — ვინაც წინა ადგილთან შედარებით უფრო მაღლა ასულა, პარიზულ თიხნარზეც უკეთესად ნათამაშება, ვინაც დაქვეითებულა — უარესად. ხოლო ვისაც არც მომატებია და არც დაკლებია, იმას არც კორტი დაუწვავს და არც ჩოგანი.

ისე კი მაინც დავსძენთ:

კარიერის პირველი სლემტიტული გაუდიოს ორსავე რეიტინგსიაში უმძლავრეს — ერთგან 30-ადგილიან, მეორეგან კი 34-ადგილიან ნახტომებად გარდაესახა. კორიას საფინალო მარცხით იხეირა ფედერერმა, რომელიც ამქრის სათავეში სულ მცირე შემოდგომამდე მაინც დარჩება. ზესამეულამდე აღზევდა ანასტასია მისკინა, ხოლო ქალთა ზეოცეულში რუსთა რაოდენობა ჯამში სულაც ექვსს აღწევს. შესადარებლად — ამერიკას ზეოცეულში მხოლოდ ხუთი ქალმეჩოგნე ჰყავთ.

რაც შეეხება ირაკლი ლაბაძეს, ჩემპიონთა რბოლის საამკვირაო სიაში მან აქამომდელი 37-დან 38-ე ადგილამდე ჩაინაცვლა, „მგორავ" რეიტინგსიაში კი პირუკუ — 50-დან 46-მდე ამაღლდა.

### „მგორავი" რეიტინგსიები

**ვაჟები**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | (1) | როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 5610 |
| 2 | (2) | ენდი როდიკი (აშშ) | 4695 |
| 3 | (3) | გილერმო კორია (არგენტინა) | 3740 |
| 4 | (8) | დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 2625 |
| 5 | (9) | ტიმ ჰენმანი (ბრიტანეთი) | 2545 |
| 6 | (4) | ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) | 2510 |
| 7 | (5) | კარლოს მოია (ესპანეთი) | 2460 |
| 8 | (7) | რაინერ შუტლერი (გერმანია) | 2225 |
| 9 | (6) | ანდრე აგასი (აშშ) | 2150 |
| 10 | (44) | გასტონ გაუდიო (არგენტინა) | 1705 |
| 11 | (12) | ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) | 1700 |
| 12 | (11) | ნიკოლას მასუ (ჩილე) | 1673 |
| 13 | (10) | სებასტიან გროჟანი (საფრანგეთი) | 1665 |
| 14 | (13) | პარადორნ შრიჩაფანი (ტაილანდი) | 1535 |
| 15 | (20) | მარატ საფინი (რუსეთი) | 1420 |
| 16 | (15) | სხენგ შალკენი (ჰოლანდია) | 1340 |
| 17 | (18) | მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) | 1320 |
| 18 | (23) | ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) | 1320 |
| 19 | (14) | ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი) | 1310 |
| 20 | (22) | ანდრეი პაველი (რუმინეთი) | 1264 |

**ქალები**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | (1) | ჟუსტინ ენენ-არდენი (ბელგია) | 5791 |
| 2 | (2) | კიმ კლაისტერსი (ბელგია) | 5069 |
| 3 | (5) | ანასტასია მისკინა (რუსეთი) | 3816 |
| 4 | (3) | ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 3502 |
| 5 | (4) | ლინდსი დევენპორტი (აშშ) | 3080 |
| 6 | (10) | ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 3038 |
| 7 | (6) | ჯენიფერ კაპრიატი (აშშ) | 2887 |
| 8 | (9) | ვინუს უილიამსი (აშშ) | 2406 |
| 9 | (14) | პაოლა სუარესი (არგენტინა) | 2081 |
| 10 | (11) | სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 2069 |
| 11 | (7) | სერენა უილიამსი (აშშ) | 2055 |
| 12 | (8) | ნადია პეტროვა (რუსეთი) | 1906 |
| 13 | (12) | აი სუგიამა (იაპონია) | 1842 |
| 14 | (13) | ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) | 1696 |
| 15 | (20) | მარია შარაპოვა (რუსეთი) | 1620 |
| 16 | (16) | სილვია ფარინა ელია (იტალია) | 1592 |
| 17 | (18) | ანა სმაშნოვა-პისტოლეზი (ისრაელი) | 1540 |
| 18 | (15) | ჩანდა რუბინი (აშშ) | 1522 |
| 19 | (19) | ფრანჩესკა სკიავონე (იტალია) | 1514 |
| 20 | (17) | პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1494 |

### ჩემპიონთა რბოლა

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | (1) | ფედერერი | 501 |
| 2 | (3) | კორია | 448 |
| 3 | (2) | მოია | 384 |
| 4 | (34) | გაუდიო | 285 |
| 5 | (5) | საფინი | 281 |
| 6 | (4) | როდიკი | 274 |
| 7 | (7) | ჰენმანი | 268 |
| 8 | (10) | ნალბანდიანი | 252 |
| 9 | (6) | ჰიუიტი | 246 |
| 10 | (8) | დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) | 182 |
| 11 | (17) | ჩელა | 179 |
| 12 | (13) | ტომი რობრედო (ესპანეთი) | 169 |
| 13 | (9) | აგასი | 167 |
| 14 | (19) | გუსტავო კუერტენი (ბრაზილია) | 158 |
| 15 | (11) | პაველი | 157 |
| 16 | (12) | ფერერო | 152 |
| 17 | (15) | ვინს სპადია (აშშ) | 144 |
| 18 | (16) | ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) | 143 |
| 19 | (14) | ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 139 |
| 20 | (18) | აგუსტინ კალიერი (არგენტინა) | 128 |





ბერლინში ამერიკელთა „შავმა ელვამ“ ჰიტლერსა და მის ამალას თვალი მოსჭრა და განარისხა

# შავი ელვა ბერლინში



*ბერლინის ოლიმპიურ თამაშებზე გამარჯვებულნი ოქროს მედლებთან და მორალურ კმაყოფილებასთან ერთად საჩუქრად მუხის ნერგსაც იღებდნენ. როდესაც ამერიკელმა ჯესი ოუენსმა მეოთხე ნერგიც მოიგო, განრისხებული ჰიტლერი სავარძლიდან წამოვარდა და გაცოფებულმა თავის ამალასთან ერთად დატოვა სტადიონი. რა თქმა უნდა, ჰიტლერი დორბლს იმად არ ყრიდა, რომ ერთმა კაცმა იმაზე მეტი ნერგი და ოქრო მოიგო, ვიდრე ერთად აღებულმა ყველა დანარჩენმა გერმანელმა მძლეოსანმა. ბოლოს და ბოლოს, ფიურერი კმაყოფილი უნდა ყოფილიყო იმით, რომ არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში მისმა თანამემამულეებმა ყველას აჯობეს. მთავარი ის იყო, რომ ჯესი ოუენსი ზანგი გახლდათ*

ჭირსაც წაუღია ეს ოთხი ნეგრიცა და ოქროებიც, ამ შავმა ჩვენი რასობრივი თეორია სულ თავდაყირა დააყენაო, ფიქრობდა ალბათ ფიურერი.

ჯესი ოუენსი, ეს უდიდესი სპორტსმენი, მართლაც ჰიტლერისა და ნაცისტების ჭირად მოევლინა ქვეყანას.

მაშინ, 1913 წელს ამერიკის ქალაქ კლივლენდში, ერთ მრავალშვილიან ზანგურ ოჯახს მეათე ბავშვი დაებადა. მას ჯეიმს კლივლენდ ოუენსი უწოდეს. ერთ მშვენიერ დღეს, თოთხმეტისა რომ გახდა, სკოლაში 220 იარდი 22,0 წამში გაირბინა. მწვრთნელმა ჩარლზ რილეიმ იფიქრა, ალბათ წამზომი გამიფუჭდა, თორემ ეს ბიჭი მძლეოსნობის ბაიბურში რომ არ არის, ასეთ კარგ შედეგს როგორ აჩვენებდაო. ერთი წლის მერე 185 სანტიმეტრზე გადებულ თამასას გადაევლო, სიგრძეზე კი 680 სანტიმეტრზე გადახტა და მაშინ საბოლოოდ ირწმუნეს, რომ ჯეიმსისგან ბრწყინვალე მძლეოსანი დადგებოდა. მასზე დიდ იმედებს ამყარებდნენ ფეხბურთისა და ბეისბოლის სპეციალისტებიც, რაკილა ერთსაც და მეორესაც კარგად თამაშობდა, სკოლის კალათბურთელებმა კი თავიანთი გუნდის კაპიტნადაც აირჩიეს.

ჯეიმსი ბავშვობაში გახდა ჯესი. თანატოლები მას სწორედ ასე უწოდებდნენ. სკოლის დამთავრების მერე მის ხელში ჩაგდებას მრავალი უნივერსიტეტი ცდილობდა. საბოლოოდ, 1933 წელს მან ოჰაიოს უნივერსიტეტში დაიწყო სწავლა.

ბერლინის ოლიმპიურ თამაშებზე ჯესი ოუენსი დიდების გვირგვინით ჩავიდა. ერთი წლით ადრე ერთ დღეში, სულ რაღაც 45 წუთში, ხუთი მსოფლიოს რეკორდი დაამყარა და ერთიც გაიმეორა. ეს მოხდა მიჩიგანის შტატის ქალაქ ან-არბორში სადაც ჯერ 100 იარდზე რბენაში მსოფლიოს მიღწევა გაიმეორა (9,4), მერე სიგრძეზე ხტომაში თავის პირველ და უკანასკნელ ცდაზე 8 მეტრსა და 13 სანტიმეტრზე გადახტა, 220 იარდზე 20,3 წამი აჩვენა და გზად 200-მეტრიან მონაკვეთზე მსოფლიოს რეკორდი დაამყარა, ასევე ორმაგ წარმატებას მიაღწია 220 იარდზე თარჯრბენაში.

მსგავსი რამ არ ახსოვს ისტორიას.

ეს ფენომენალური სპორტსმენი სპრინტში თავისი შედეგით 1964 წელს ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე პრიზიორთა შორის მოხვდებოდა, სიგრძეზე ხტომაში მისმა მსოფლიოს რეკორდმა კი მთელი 25 წელიწადი გასძლო.

აი, ასეთი შედეგებით ჩავიდა ჯესი ოუენსი ბერლინის ოლიმპიურ თამაშებზე. მისი რბენის თვითმხილველნი ამბობდნენ, ოუენსის გამოსვლებს რომ ვუყურებთ, ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, თითქოს მას სიჩქარის გადამრთველი აქვსო.

ბერლინში ოუენსი ოთხჯერ გამოვიდა 100-მეტრიან დისტანციაზე და ოთხივე გარბენი მოიგო. ეგ კი არა, მსოფლიოს რეკორდი (10,3) წინასწარ გარბენში დაამყარა. მეოთხედფინალში უფრო სწრაფად გაირბინა (10,2), მაგრამ ამაში ზურგქარიც დაეხმარა. მეორე დღეს, სპორტსმენები ფინალური გარბენის სტარტზე რომ დადგნენ, ოუენსი არსად ჩანდა. თურმე იქვე ჩასძინებია და მხოლოდ თანაგუნდელების შეჯანჯღარებამ გამოაღვიძა.

სტარტიდან 20 მეტრის მერე ოუენსი შავ ელვასავით წინ გაიჭრა. ფინიშამდე ისე ირბინა, ზურგსუკან მეტოქეთა სუნთქვა არ უგრძვნია.

ჯესი ოუენსის ამ გამარჯვებას მთელი სტადიონი ოვაციით შეეგება, ჰიტლერსა და მის ამალას კი დანა კბილს არ უხსნიდა.

მომდევნო დღეს ოუენსი 200 მეტრზე რბენაში და სიგრძეზე ხტომაში ოლიმპიური რეკორდებით იმარჯვებს, მაგრამ ამ უკანასკნელ სახეობაში ოქროს მედლის მფლობელის ვინაობის გამოცნობა სულ ბოლო მომენტამდე შეუძლებელი იყო. დილით ოუენსმა ოლიმპიური რეკორდი (783 სმ) დაამყარა, საღამოს გერმანელმა ლუც ლონგმა მისი შედეგი ბოლო, მეოთხე ცდაზე 4 სანტიმეტრით გააუმჯობესა, რითაც ჰიტლერი და მთელი სტადიონი ალაფრთოვანა. ოვაციები რომ ჩაცხრა, ყველას მზერა სტარტზე მდგომი ოუენსისკენ გადაინაცვლა. იგი დიდხანს ემზადებოდა გადასახტომად. ტრიბუნებზე უკვე სამარისებურ მდუმარებას დაესადგურებინა. და აი, გამორბენი, ნახტომი, ოლიმპიური რეკორდი — 876 სანტიმეტრი და მქუხარე ტაში მთელი სტადიონი რომ შესძრა. მომდევნო დღეს ოუენსი კვლავ საპატიო კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხურზეა, ამჯერად 200 მეტრზე გამარჯვებისთვის და კვლავ ოლიმპიური რეკორდით (20,7)

გადის სამი დღე. ოუენსი თანაგუნდელებთან ერთად 4×100 მეტრზე ესტაფეტაში იმარჯვებს, იმარჯვებს მსოფლიოს რეკორდით (39,8), რაც მთელი 20 წელიწადი უძლებს ჟამთასვლას.

ჯესი ოუენსმა ბერლინში მოიპოვა იმაზე მეტი „ოქრო“ და მუხის ნეგრი, რამდენიც ერთად აღებულმა „არიელმა“ მძლეოსნებმა; აი, სწორედ ამის მერე იყო, გაცოფებულმა ჰიტლერმა თავის გუნდთან ერთად რომ დატოვა სტადიონი. აი, ყოველივე ამის გამო უწოდეს ბერლინის ოლიმპიადას „ჯესი ოუენსის ოლიმპიადა“.

ოუენსმა მუხის ნეგრებიდან ერთი კლივლენდში, თავისი მშობლების კარმიდამოში დარგო, ორი — იმავე ქალაქის სკოლებში, სადაც სწავლობდა, მეოთხე კი ოჰაიოს შტატის უნივერსიტეტში გაახარა, რომელიც მან დაამთავრა.

„ბერლინის ოლიმპიადის მერე სხვა ამერიკელ მძლეოსნებთან ერთად ევროპის სტადიონებზე გამოვედი, შემდეგ კი პროფესიონალი მორბენალი გავხდი — იხსენებდა ჯესი ოუენსი — მე მქონდა სახელი, მაგრამ არ მქონდა ფული. ამიტომ რბენაში ვეჯიბრებოდი ცხენებს, ძაღლებსა და კენგურუსაც. განსაკუთრებით პონებთან რბენა მიჭირდა. ამ პატარა ცხენებს სრულიად არ აფრთხობდათ სასტარტო პისტოლეტის ხმა, სტარტს კი საოცრად სწრაფად იღებდნენ, მაგრამ ეს კიდევ არაფერი, რბენისას ისინი ზოგჯერ ფეხს მადგამდნენ, აი, „ნამდვილი“ ცხენებთან კი არ მიჭირდა. პისტოლეტის ხმაზე ისინი ფრხებოდნენ და თითქოს მხედრების გადმოგდებას ლამობდნენ. ამასობაში მე წინ გავიჭრებოდი ხოლმე. ცხენების მოახლოებულ ქშენას მხოლოდ ფინიშის ხაზთან ვგრძნობდი.“

ბერლინის ტრიუმფიდან 15 წლის მერე ჯესი ოუენსი კვლავ ჩავიდა ამ ქალაქში, ამჯერად კალათბურთელთა გუნდის წევრებთან ერთად. როცა ოუენსი სპორტის სასახლეში შევიდა, მას მთელი ტრიბუნა წამოუდგა. ოუენსმა მოინახულა ლუც ლონგის ოჯახი, მერე კი თავისი ტრიუმფის მოწმე სტადიონზე წარმოთქვა სიტყვა.

„ამ წუთში, უწინარეს ყოვლისა, მე ვიხსენებ კეთილ მეგობარსა და ოლიმპიადაზე ჩემს უდიდეს მეტოქეს ლუც ლონგს, რომელიც უაზრო ომმა შეიწირა“ — თქვა ოუენსმა და ყველას მოუწოდა მშვიდობისკენ.

**ავთანდილ გურასაშვილი**



ცხენთან მოპაექრე ჯესი ოუენსი



ამერიკაში დაბრუნებული ტრიუმფატორის ტრიუმფალური დახვედრა

# შპაცრაპად, ეს რისი პერძია? ხარები დილომში, ქურციკი მენიუში

**ხვალიდან** ქართულ რაგბის საპატიო სტუმრები ჰყავს. ზე-12-ის ზემძლავრი სამხრეთაფრიკული გუნდი „ბლუ ბულზი" დღეს საღამოს დაახლოებით 9 საათზე „თურქიშ ეარვეიზით" ჩამოფრინდება და დილომში, საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების ახალ ბაზაზე დაბანაკდება.

სტუმართა 45-კაციან დელეგაციაში 30 მორაგბე და 12 მწვრთნელია. რომ არაფერი ვთქვათ სათამაშო რგოლების და. ფიზმომზადების მწვრთნელზე, „ხარებს" მოჰყავთ ფსიქოლოგიის „მასწავლებელი" და საზოგადოებასთან ურთიერთობაში დამხმარეც კი. ცალკე სპეციალისტი ავარჯიშებთ ფეხით თამაშში.

აფრიკელები საქართველოში სამ თამაშს ჩაატარებენ. 12 ივნისს თბილისის შვიდკაცას დაწყებამდე, ორის ნახევარზე, „ლოკომოტივზე" აქაური კლუბების ნაკრებს დაუპირისპირდებიან, 16 ივნისში საღამოს 6 საათზე რუსთავში, „ფოლადის" სტადიონზე ჩვენს „ა" ნაკრებს დაეჯახებიან. 20 ივნისს 6 საათზე კი „ეროვნულზე" ბორჯღალოსნებსაც შეერკინებიან. თბილისურ შეხვედრებზე ბილეთები 3 ლარი ეღირება, ხოლო რუსთავში დასწრება უფასო იქნება.

გარდა ამხანაგური თამაშებისა, იმ თორმეტ დღეში თბილისში რომ დაჰყოფენ, აფრიკელები ქართველი მწვრთნელებისა და მოთამაშეებისთვის სემინარებისა და. პრაქტიკული მეცადინეობების გამართვასაც გეგმავენ. ჯერ დაუზუსტებელია, მაგრამ ალბათ იქნება საჩვენებელი ვარჯიშები, შეიძლება ერთობლივიც.

„ხარები" ბაზაზევე ივარჯიშებენ და იქვე გამოიკვებებიან თავიანთ მიერვე შეკვეთილი მენიუთი. პრეტორიელმა სტუმრებმა მასპინძლებს ისეთი კერძების დახვედრება სთხოვეს, ზოგიერთის სახელსაც ვერ დავიმახსოვრებთ.

**ოთარ გაღლაძელიძე**

# ვუდვორდმა ვარდები დარგო
## ინგლისი დამრტყმელებს ზრდის

**შაბათს** ახალი ზელანდიის სამხრეთ ქალაქ დანიდინში ინგლისელი და ახალზელანდიელი მორაგბეები ერთმანეთს ტესტმატჩში დაეჯახებიან. ინგლისელი „ვარდების" მწვრთნელმა კლაივ ვუდვორდმა ძირითად 15-ეულში რამდენიმე ცვლილება მოახდინა. მან ნაკრებში უკვე მერამდენედ დააბრუნა მაიკ ქეთი, რომელსაც ინგლისელთა სასტარტო შემადგენლობაში მსოფლიოს თასის ნახევარფინალის შემდეგ აღარ უთამაშია.

„ვარდებს" სრულიად განახლებული მეორე ხაზი ჰყავთ. მსოფლიოს თასზე ნაყოჩაღები მარტინ ჯონსონისა და ბენ კეის ნაცვლად შერკინების მეორე ხაზში საიმონ შოუ და დენი გრივკოკი მკვიდრდებიან. პირველ ხაზში მარჯვენა ბურჯად ვება ფილ ვიკერის ნაცვლად ჯულიანვაითი ითამაშებს.

ერთი სიტყვით ლამის სანახევროდ გადახალისებულ მსოფლიოს ჩემპიონებს მასპინძელ „შავებთან" კარგი გამოცდა ელით, მით უმეტეს, უკვე კარგა ხანია, დაშავებული ჰყავთ 2003 წლის მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშე, ალბათ ყველა დროის უჩუბინესი დამრტყმელი და „ვარდების" გაჭირვების ტალკვესი ჯონი უილკინსონი. ხოლო ვინაიდან მისმა შემცვლელმა პოლ გრეისონმაც თამაშს თავი დაანება, კლაივ ვუდვორდს 10 ნომრად ვინმე ჩარლი ჰოჯსონის დაყენება უწევს. ქეთიც ამ მიზეზით დააბრუნა. იგი შუამარბი კია (12), თუმც გაჭირვებაში უკანა ხაზის გაძღოლაც შეუძლია.

„ჰოჯსონისთვის ეს პირველი სერიოზული გამოცდა იქნება. იმედია, ქეთის, ტინდალისა და დოუსონის მხარდამხარ თამაში არ გაუჭირდება" — იმედოვნებს ინგლისელთა თავკაცი.

ზელანდიის ნაკრებში კი ერთადერთი ახალწვეულია — ჯონო გიბსი, რომელმაც ზე-12-ში გაიბრწყინა. იგი შერკინების ფრთაზე „ოლ ბლექსის" ყოფილი კაპიტნის რუბენ სორნის ადგილს დაიჭერს.

**ახალი ზელანდია:** მულიაინა, ჰაულეტი, უმაგა (კაპ), კარტერი, როკოკოკო; სპენსერი, მარშალი; რაში, მაკქოუ, გიბსი, რობინსონი, ჯეკი, ჰეიმანი, მეალამუ, მიიუსი

***სათადარიგოები:*** ევანსი, ტუიტუპუ, კელეჰერი, იოლა, კოლინზი, ვუდკოკი, ჰორი

**ინგლისი:** ლიუსი, სიმპსონი, დენიელი, ტინდალი, ქეთი, კოენი; ჰოჯსონი, დოუსონი; დალალიო (კაპ), ჰილი, ჯონსი, გრივკოკი, შოუ, ვაიტი, ტომპსონი, ვუდმენი

***სათადარიგოები:*** რეგანი, სტივენსი, ბორსვიკი, ვორსლი, გომარსალი, ებოტი, ვოისი



მაიკ ქეთი მსოფლიოს თასის შემდეგ პირველად მოხვდა ინგლისის ნაკრების ძირითადში






მარი-ჟო პერეკი წასვლაზე დიდხანს ფიქრობდა

# პერეკმა კარიერის ფინიშთან მიირბინა

**ოთხწლიანი** უქმობის მერე ფრანგმა მორბენალმა მარი-ჟო პერეკმა სამძლეოსნო სამყაროს კარიერის დასრულება აუწყა. ისე, უცნაური კია — მარი-ჟოს თავისი შავი ფეხები სიდნეის ოლიმპიადის მერე სარბენი ბილიკებისთვის არ გაუკარებია და, ალალად ვთქვათ, ყველას კარიერამომთავრებულ დიაცად მიგვაჩნდა. ასეა თუ ისე, წავედით და, რახან პერეკს მძლეოსნობაში წონადი სიტყვა ეთქმოდა, მსოფლიოს არენებზეც მრავლად ოქრო-ვერცხლი მოუხვეჭია, ორიოდ სიტყვით მის ნარბენ ცხოვრებაზე ვთქვათ.

400 მეტრზე მორბენალ მარი-ჟოს ზარდახშაში 1991 და 1995 წლების მსოფლიოს ჩემპიონატების, 1992 წლის ბარსელონასა და 1996 წლის ატლანტის ოლიმპიადების ოქროები ჩხრიალებენ. აქვე ვთქვათ, რომ ატლანტაში პერეკი 200 მეტრზეც უსწრაფესი იყო და შინ ორი ოქროთი მკერდდამშვენებული დაბრუნდა.

2000 წლის სიდნეის ოლიმპიადიდან კი ჩვენგან ნაქები მარი-ჟო... გაიპარა. ადგა ღამით და თავის ბოიფრენდთან ერთად წავიდა. მოგვიანებით ეს ნაბიჯი იმით ახსნა, რომ ავსტრალიაში მოკვლით მემუქრებოდნენო. შედეგად სიდნეის ოქრო ავსტრალიელმა კეიტ ფრიმენმა მოიპოვა.

„გული მწყდება, ჩემი კარიერა სიდნეის ინციდენტით რომ დასრულდა, თუმცა რას იზამ, ეს ჩემი ცხოვრების ნაწილია. ავსტრალიაში ჩემი მოწინააღმდეგე კეიტ ფრიმენი არ ყოფილა. მე მთელ ერთან მომიწია შეჭიდება, ერთან, რომელსაც თავისი პრობლემები ჰქონდა" — აცხადებს მარი-ჟო.

„მარი-ჟო ეგოცენტრიკია, ჰგონია, რომ სამყარო მის გარშემო ბრუნავს" — ამბობს სპორტსმენის მწვრთნელი და, როგორც ჩანს, ფსიქოლოგიაშიც კარგად ჩახედული ფრანსუა პეპინი.

ასე თუ ისე, ჭირვეული ქალბატონის კარიერა დასრულებულია, მაგრამ ათენში ის მაინც გაემგზავრება, რათა ახალგაზრდა ფრანგებს თავისი გამოცდილება გაუზიაროს.



ბერძნები გვარწმუნებენ: ათენში მშენებლობა მშვენივრად მიდის

# ბერძნები მითებს ამსხვრევენ
## ჩვენ ახლაც შეგვიძლია შენება!

**ბერძენი** მშენებლები თითქოს რიტმში ჩავარდნენ და ოლიმპიადისთვის მზადების დაგვიანების გამო ატეხილი აჟიოტაჟიც მინელდა. თამაშების გახსნამდე ორი თვით ადრე ბერძნები უკვე გამზადებული რამდენიმე დარბაზისა თუ მინდვრის გამოცდას მოაწყობენ, აქაოდა, სპორტული ობიექტების რაღაც ნაწილის მშენებლობა უკვე დავასრულეთ და საპანიკოც არაფერიაო.

უახლოეს დღეებში გაიმართება ქალთა სამდღიანი ტურნირი კალათბურთში, 9 ივნისს მოცურავეები და ველომრბოლელები აუზს და ველოტრეკს „გასინჯავენ", 10 ივნისს კი მძლეოსნები ახალგარემონტებული ოლიმპიური სტადიონის მინდორსა და სარბენ ბილიკებს „გამოცდიან". გამომცდელთა შორის თავისთავად არაერთი ცნობილი ბერძენი სპორტსმენია, ერთ-ერთი გახლავთ. სიდნეის ოლიმპიადის ჩემპიონი 200 მეტრ დისტანციაზე სირბილში კოსტას კენტერისი.

ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორთა შეფი ქალბატონი იანა ანგელოპულოსი ქვეყნის პრემიერლ-მინისტრ კოსტას კარამანლისს ამ სხვა საკითხების გამო შეხვდა და განაცხადა, რომ საჭიროა მობილიზება, რათა ყველა საორგანიზაციო საკითხი დროულად მოგვარდეს.

პატივცემულმა ქალბატონმა წერტილი დაუსვა ჭორებს, თითქოს საბერძნეთში ჩასული ოფიციალური დელეგაციების უსაფრთხოებას არა ბერძნები, არამედ დელეგაციის წევრთა მიერ ჩამოყვანილი უშიშროების აგენტები დაიცავენ.

„სტუმართა უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობას ჩვენ ვკისრულობთ, უშიშროების ყველა წარმომადგენელი, რომელთაც უცხოელ სპორტსმენთა თუ ოფიციალურ პირთა დაცვა დაევალებათ, ბერძენი იქნება" — განაცხადა ანგელოპულოსმა.

**ლადო ფულუძიძე**

პარლამენტის ბიბლიოთეკა

# ღიმილი პრეზიდენტთან



REUTERS ფოტოქრონიკა

დასავლეთში მოვიზიტე რუსთა პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა პარიზში ანასტასია მისკინასა და ელენა დემენტიევასთან შესახვედრ-შესაღიმილებლადაც მოიცალა. ამ რუსმა მეჩოგნეებმა იქაურ სეფეთიხნარზე გასულ შაბათს პირველი რუსული სლემფინალი ჩაითამაშეს და პრეზიდენტის მხრიდან მათი უნახველობა დასტურ უსამართლობა გამოდიოდა. შევახსენებთ, როლანგაროსობის გადამწყვეტ მატჩში მისკინამ იმარჯვა, თუმცა ის და ლენკა კვლავაც ახლო მეგობრებად რჩებიან.



## ოლიმპიური ცეცხლი დიდ კედელზე

სიდნეიდან ამოგზაურებული ოლიმპიური ცეცხლი იმ დღეს პეკინში ჩავიდა და პირველ ფოტოზეც სწორედ ეს მომენტია ასახული. მეორეზე კი იმას ხედავთ, თუ როგორ მიარბენინებს ჩინელი იან ჩენი ალმოდებულ ჩირაღდანს ჩინეთის დიდ კედელზე. შევახსენებთ, რომ ცეცხლმა სულ 27 ქვეყანა და 34 ქალაქი უნდა შემოიაროს.




REUTERS ფოტოქრონიკა



## წმინდა გიორგის საყმო



ინგლისელთა საფეხბურთო ნაკრების ყმაწვილი შემტევის, უეინ რუნის მშობლებმა — დინერლედი ჯანეტმა და უეინ უფროსმა ამ დღეებში სახლზე წმინდაგიორგისჯვრიანი ორი ვეება დროშა გამოჰკიდეს. ძალიან ამაყობენ, ბიჭი რომ პორტუგალიაში მიჰყავთო, უთქვამს რუნების მეზობელს. ვინ არ იამაყებდა, რო.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge